



ტელეოლოგიური განმარტების სტანდარტი რთული შემთხვევების
გადაწყვეტისას ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში

წარმოდგენილია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
თბილისი, 0186, საქართველო სექტემბერი 2020

საავტორო უფლება 2020 წინო რაფავა

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი

ვადასტურებ, რომ გავეცანი ნიხო რაფავას მიერ შესრულებულ სამაგისტრო ნაშრომს დასახელებით: ტელეოლოგიური განმარტების სტანდარტი რთული შემთხვევების გადაწყვეტისას ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში და ვამღებ რეკომენდაციას სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის საგამოცდო კომისიაში მის განხილვას სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

თარიღი:

ხელმძღვანელი: დიმიტრი გეგენავა

სულხან-საბა ორბელიანის სასწავლო უნივერსიტეტი
სამართლის ფაკულტეტი

განაცხადი წარმოდგენილ ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ როგორც წარმოდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სტუდენტი: ნინო რაფავა

თარიღი:

ანოტაცია

წინამდებარე ნაშრომი განიხილავს ტელეოლოგიური განმარტების სტანდარტებს რთული შემთხვევების გადაწყვეტისას ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში. ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოში სამართალშემფარდებელთა მიერ ტელეოლოგიური სტანდარტის გამოყენების შეფასება-ანალიზი და საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არსებული ისეთი რთული შემთხვევების შესწავლა, რომლითაც ხაზი გაესმება კონსტიტუციური პრინციპებისა და ტელეოლოგიური სტანდარტების გამოყენებით მიღებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრაქტიკაში არსებულ გადაწყვეტილებათა სიზუსტეს, ეფექტურობასა და უპირატესობას. ნაშრომში მიმოხილულია ადმინისტრაციული სამართალწარმოებისა და სასამართლოს მიზნობრივი ინტერპრეტაციის არსი, მიმდინარეობა და განხორციელებისას წამოჭრილი პრობლემური ასპექტები. ტელეოლოგიური მეთოდის გამოყენება ბუნებით განუსაზღვრელი ცნებაა და საჭიროებს შემდგომ ინტერპრეტაციას, რაშიც განსაკუთრებული როლი ეკისრება კანონმდებელს, შესაბამისი საკანონმდებლო აქტის შექმნის პროცესში, და სასამართლო ხელისუფლებას, მართლმსაჯულების განხორციელებისას ნორმის განმარტების ფარგლებში. კვლევის მიზნიდან გამომდინარე - სწორედ აღნიშნულ პროცესებზე დაკვირვება „რთული შემთხვევების“ გადაწყვეტისას იძლევა იმ სტანდარტებს, რაც დღეის მდგომარეობით ნაწილობრივ დამკვიდრებულიცაა საქართველოს ეროვნული სასამართლოების მიერ. ნაშრომში მოცემულია სხვადასხვა გადაწყვეტილების სამართლებრივი ანალიზი, შუალედური დასკვნები და რეკომენდაციები რომლითაც ნაჩვენებია, რომ პრობლემების აღმოფხვრისათვის საჭიროა შესაბამისი ღონისძიებების გატარება.

Annotation

The present paper discusses the standards of teleological interpretation in dealing with complex cases in administrative proceedings. The aim of the paper is to evaluate the analysis of the use of the teleological standard by law enforcers in Georgia and to study such complex cases in the case law of Georgia, which will emphasize the accuracy, effectiveness and advantage of decisions in administrative proceedings adopted using constitutional principles and teleological standards. The paper reviews the essence of the administrative proceedings and the purposeful interpretation of the court, the process and the problematic aspects raised during the implementation. The use of the teleological method is an indefinite concept by nature and requires further interpretation, in which the legislature has a special role to play in the process of drafting the relevant legislative act, and the judiciary within the definition of the norm in the administration of justice. For the purpose of the research - observation of these processes in solving "Hard Cases" provides the standards that are currently partially established by the national courts of Georgia. The paper provides a legal analysis of various decisions, interim findings and recommendations that show that appropriate measures are needed to eliminate the problems.

ნაშრომის სტრუქტურა

I შესავალი	8
II. ტელეოლოგიური განმარტების სტანდარტი და მისი გამოყენების მნიშვნელობა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში	12
2.1. ტელეოლოგიური განმარტება პრაქტიკაში	12
2.1.1. ინტერპრეტაცია, როგორც ლეგიტიმაციის პრობლემა	17
2.1.2. არგუმენტები კანონის მიზნიდან გამომდინარე	20
2.1.3. შეზღუდული და გაფართოებული ტელეოლოგიური განმარტების პრაქტიკა 23	
2.2. ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია და ინკვიზიციურობა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში	28
2.3. ტელეოლოგიური განმარტება, როგორც ინკვიზიციურობა	32
2.4. ტელეოლოგიური განმარტება და საჯარო ინტერესი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში	35
III ადმინისტრაციული სამართალწარმოებაში არსებული რთული შემთხვევები	38
3.1. რთული შემთხვევის მახასიათებლები	38
3.2. რთული შემთხვევის გადაწყვეტის თავისებურება	40
3.3. ტელეოლოგიური განმარტების გამოყენება რთულ შემთხვევებში	41
3.3.1. ტელეოლოგიური განმარტების გამოყენების ფარგლები	44
3.3.2 ტელეოლოგიური განმარტების გამოყენების სამართლებრივი შედეგები	45
3.3.3 მოსამართლე პერკულესი და ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში: განმარტებასა და სამართალშემოქმედებას შორის	47
IV ტელეოლოგიური განმარტების გამოყენების პრაქტიკა ქართული ადმინისტრაციული სამართალწარმოების რთულ შემთხვევებში	50
4.1. სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება	50
4.1.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები	50
4.1.2. სასამართლოს პოზიციის ანალიზი	50
4.2. ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალებასთან დაკავშირებული დავის განსჯადობა	54
4.2.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები	54

4.4.2. სასამართლოს პოზიციის ანალიზი	55
4.3. მამაკაცის დეკრეტული შვებულება	61
4.3.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები	62
4.3.2. სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ანალიზი	63
4.4. უფლება წარმოშობის შესახებ ინფორმაციაზე	67
4.4.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები	67
4.4.2. სასამართლოს პოზიციის ანალიზი	68
V დასკვნა	74
ბიბლიოგრაფია	77

I შესავალი

“We are under a constitution, but the constitution is what the judges say it is”

„ჩვენ ვართ კონსტიტუციის მორჩილებაში, მაგრამ კონსტიტუცია არის სწორედ ის, რაზეც მოსამართლეები ამბობენ, რომ არის კონსტიტუცია“¹²

ჩარლზ ევან ჰუგესი

იურიდიული მეთოდოლოგია იმ წესების ერთობლიობაა, რომელიც სამართლის შემფარდებელმა უნდა გაითვალისწინოს ნორმის განმარტების პროცესში.³ სიტყვა „ტელეოლოგია“ ბერძნული სიტყვისაგან მომდინარეობს და წარმოადგენს იდეალისტურ მოძღვრებას, რომლის მიხედვითაც ყოველი განვითარება წინასწარ განსაზღვრული მიზნის განხორციელებაა.⁴ კონტინენტური სამართლის სისტემაში მიზნობრივ ინტერპრეტაციას მოიხსენიებენ, როგორც ტელეოლოგიურ ინტერპრეტაციას.⁵ „ტელეოლოგიური იურისპრუდენციის თანახმად სამართლის უკან ყოველთვის დგას განსაზღვრული მიზანი. სამართლის შეფარდების პროცესში აუცილებელია ამ მიზნის სწორად ახსნა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. თუ კანონის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა წინააღმდეგობაში მოდის ნორმის მიზანთან, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს სწორედ ნორმის მიზნიდან და არა სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე. იურიდიულ გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს მატერიალური და არა ფორმალური სისწორე“.⁵

¹ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2004, 120.

³ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 176.

⁴ ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1989. 6.

⁵ Barak. A., Purposive Interpretation in Law, USA, 2005, 340. ⁵

ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 184.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ტელეოლოგიური

სტანდარტის გამოყენება მოიცავს სხვადასხვა აქტუალურ ასპექტებს, ვიცით რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოსამართლე ინკვიზიციური უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტია და მისი, როგორც ამავედროულად საჯარო მოხელის მონაწილეობა ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში საკმაოდ საინტერესო და მრავალმხრივი შეფასება-შესწავლის საგანს წარმოადგენს. სწორედ ამ იდეალისტური მოძღვრების განსაკუთრებული იარაღია სამართალშემფარდებლის ხელში. მისი მეშვეობით „მოსამართლე არ ერევა კანონმდებლის პოლიტიკური კომპეტენციების სფეროში, მაგრამ ხელს უწყობს საგნობრივად სწორი გადაწყვეტილების მიღებას“. ⁶ საკითხი საკმაოდ აქტუალურია, ვინიდან დღევანდელი მოცემულობით საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული სამართლიანი ადმინისტრაციული წარმოების უფლება ადმინისტრაციულ წარმოებაში დაინტერესებულ მხარეს ანიჭებს აქტიურ როლს. საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული პროცედურული უფლებების რეალიზაციას კი ემსახურება სზაკ-ით დადგენილი სამართლებრივი ინსტრუმენტები, რაც, იმავედროულად, არის „სამართლიანის“ შინაარსის განმსაზღვრელი. ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან გამომდინარე, იკვეთება დაცვის ობიექტი – ადმინისტრაციული წარმოება, მისი შინაარსის განმსაზღვრელი ელემენტით – „სამართლიანი“, რაც თავისი ბუნებით განუსაზღვრელი ცნებაა და საჭიროებს შემდგომ ინტერპრეტაციას, რაშიც განსაკუთრებული როლი ეკისრება კანონმდებელს, შესაბამისი საკანონმდებლო აქტის შექმნის პროცესში, და სასამართლო ხელისუფლებას, მართლმსაჯულების განხორციელებისას ნორმის განმარტების ფარგლებში.⁷

⁶ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 157.

⁷ ტურავა პ., ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა, სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2018, 247.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს საქართველოში სამართალშემფარდებელთა მიერ ტელეოლოგიური სტანდარტის გამოყენების შეფასება-ანალიზი და საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში არსებული ისეთი რთული შემთხვევების შესწავლა, რომლითაც ხაზი გაესმება კონსტიტუციური პრინციპებისა და ტელეოლოგიური სტანდარტების გამოყენებით მიღებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრაქტიკაში არსებულ გადაწყვეტილებათა სიზუსტეს, ეფექტურობასა და უპირატესობას. ნაშრომში გარკვეული საკითხების სიღრმისეულად შესწავლის მიზნით გამოყენებული იქნება შედარებით-სამართლებრივი, ანალიტიკურ, ისტორიულ-გენეტიკურ, დესკრიფციულ, ჰერმენევტიკულ და სხვა სამეცნიერო მეთოდები. ნაშრომის სრულყოფისთვის გამოყენებულ იქნება სამეცნიერო ლიტერატურის, სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა. დამუშავდება ქართული საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების, ევროსასამართლოსა და საკითხის უკეთ წარმოჩენის თვალსაზრისით რამდენიმე პრაქტიკა, რაც უკეთესი მოწესრიგებისა და საქართველოში არსებული პრობლემების გადაწყვეტის ადეკვატური საშუალებების იდენტიფიკაციისთვის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს. სამაგისტრო ნაშრომი შედგება ხუთი ნაწილისაგან, რომელთაგან I და V შესავალი და დასკვნაა, II თავში საუბარია ტელეოლოგიური განმარტების სტანდარტზე და მისი გამოყენების მნიშვნელობაზე ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, თუ რას გულისხმობს ტელეოლოგიური განმარტება თავის თავში და კონსტიტუციური პრინციპების გამოყენებით რა შედეგის მიღწევას შესაძლებელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრაქტიკაში. III ნაწილში ყურადღება გამახვილებულია ადმინისტრაციული სამართალწარმოებაში არსებულ რთულ შემთხვევებზე, მათი განხილვაგადაწყვეტის პროცედურებზე და საქართველოს სასამართლოში არსებულ პრაქტიკაზე. IV თავში განხილულია რამოდენიმე „რთული“ საქმე საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში და ნაჩვენებია ტელეოლოგიური

განმარტების გამოყენების პრაქტიკა ქართული ადმინისტრაციული სამართალწარმოების რთულ შემთხვევებში. ნაშრომში ასევე გამოყენებულია შედარებითსამართლებრივი მეთოდი, საუკეთესო პრაქტიკა და ადმინისტრაციული და საერთო სასამართლოების პრაქტიკა.

II. ტელეოლოგიური განმარტების სტანდარტი და მისი გამოყენების მნიშვნელობა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში

2.1. ტელეოლოგიური განმარტება პრაქტიკაში

სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირებისას სამართლის ნორმების განმარტების პრობლემა განსაკუთრებით აქტუალურია, ვინაიდან უკავშირდება საზოგადოების სამართლებრივი კულტურისა და სამართლებრივი შეგნების ამაღლებას. რაც უფრო ხელმისაწვდომი და გასაგებია სამართლებრივი ნორმები მოსახლეობისათვის, მით უფრო ეფექტიანია მათი რეალიზაცია, მათ შორის, გამოყენების თვალსაზრისით.⁸

სასამართლოს (მოსამართლეს) გადაწყვეტილება გამოაქვს კანონმდებლობის საფუძველზე. იგი თავად ვერ შეთხზავს ახალ კანონმდებლობას. მას შეუძლია განმარტოს კანონი და ასეთი ტელეოლოგიის გზით განავრცოს კანონმდებლობა, მაგრამ არა შეცვალოს ან/და არამიზნობრივად და არასაჭიროდ ჩათვალოს იგი. იქამდე სანამ ფორმალური კანონი არსებობს და არ არის გაუქმებული საკანონმდებლო ან საკონსტიტუციო სასამართლოს გზით, მოსამართლე ვალდებულია თავისი გადაწყვეტილება შეუსაბამოს ნორმატიულ აქტს.⁹ კელზენისეული განმარტებით, ნორმა სხვა არაფერია თუ არა ადამიანის ქმედებათა მნიშვნელობა, შესაბამისად ინტერპრეტატორის მთავარი მოვალეობაა ნაგულისხმევის მნიშვნელობის განსაზღვრება. ⁹ ინტერპრეტატორი რამდენიმე შესაძლო მნიშვნელობიდან ირჩევს საუკეთესოს, მისი მთავარი მიზანია „ადამიანური“ ენიდან „სამართლებრივ“ ენაზე და პირიქით, თარგმნოს ნორმის შინაარსი.¹⁰ სამართლის ნორმის პროფესიონალური განმარტებისას მოსამართლე შებოჭილია როგორც პროცედურული (საპროცესო სამართლის პრინციპები), ისე მატერიალურ-

⁸ კოხრეიძე ლ, ზოგიერთი სამოქალაქოსამართლებრივი ნორმის განმარტების პრობლემები კანონით მემკვიდრეობასთან დაკავშირებული დავების განხილვისას, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N2(41), ნ. ძიმიგურის რედაქტორობით. თბილისი, 2018, 10. ⁹ ყურაშვილი კ., საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას დამდგარი პასუხისმგებლობა სხვა პირთა მიმართ საქართველოს და გერმანიის ადმინისტრაციული სამართლის მაგალითებზე, თბილისი, 2019, 123.

⁹ გეგენავა დ., თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, N1, თბილისი, 2013, 107. იხ: Troper M., Constitutional Interpretation, Israel Law Review, #39, 2006, 47.

¹⁰ გეგენავა დ., თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, N1, თბილისი, 2013, 107. იხ: Shalev G., Interpretation in Law: Chief Justice Barak's Theory, Israel Law Review, Vol. 36, 126.

სამართლებრივი შეზღუდვებით (გონივრული გადაწყვეტილების მიღების ვალდებულება). აღნიშნული პრინციპების გამოყენების გარეშე ყოველგვარი განმარტება თვითნებობის ხასიათს მიიღებს.¹¹ ნორმის განმარტება და მასთან დაკავშირებული საკითხები სამართალში განსაკუთრებულ ადგილს იკავებს. ერთია სრულყოფილი საკანონმდებლო აქტისა და ნორმის შექმნა, ხოლო მეორე – ამ უკანასკნელის განმარტება და პრაქტიკაში გამოყენება, იმპლემენტაცია.¹² განმარტება აუცილებლად უნდა ხდებოდეს კანონსა და იურიდიულ ლიტერატურაში დადგენილი განმარტების წესების (პრინციპების) შესაბამისად. ამდენად, სასამართლოს მიერ სამართლის ნორმის განმარტება – ეს არის სამართლის პროფესიონალური, კომპეტენტური და ოპერატიული განმარტება, რომელიც ხორციელდება მატერიალური და საპროცესო ნორმების საფუძველზე იურიდიული ტექნიკის სპეციალურ საშუალებათა გამოყენებით.

თუმცა უნდა გავითვალისწინოთ, რომ განსაკუთრებით რთულია ნორმათა ისეთი კონკურენციის გადაწყვეტა, როდესაც ქმედების სხვადასხვა საკანონმდებლო შემადგენლობები ერთმანეთთან მიმართებაში იმყოფებიან არა როგორც ვიწრო და ფართო ცნებები, არამედ როგორც „გადამკვეთი წრეები. კონკურენციის ეს პრობლემატიკა ამოიხსნება არა ლოგიკური სპეციალურობის საფუძველზე, არამედ ხშირად მხოლოდ ტელეოლოგიური არგუმენტების დახმარებით.¹³ სამართლებრივი ტექსტები ყოველთვის არაა ბუნდოვანი, ხშირ შემთხვევაში მათი შინაარსი ნათლადაა გადმოცემული, ასეთ დროს სრულიად უსარგებლოა ინტერპრეტაციის თეორიების მოხმობა. ეს უკანასკნელი მხოლოდ და მხოლოდ ისეთ დროსაა აუცილებელი, როცა ტექსტი ბუნდოვანი ან ორაზროვანია, მისგან ვერ ხდება ნაგულისხმევი აზრის დადგენა.¹⁴ იდეალურ

¹¹ Барак А., Судейское усмотрение, М., 1999. 28-35.

¹² გეგენავა დ., თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, N1, თბილისი, 2013, 102. იხ: Barak A., Hermeneutics and Constitutional Interpretation, Cardozo Law Review, Vol. 14, 1992-1993, 769.

¹³ ციპელიუსი. რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამუშავებული გამოცემა, მიუნხენი, 2006, 48.

¹⁴ გეგენავა. დ., თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, N1, თბილისი, 2013, 107. იხ: Schauer F., The Occasions of Constitutional Interpretation, Boston University Law Review, Vol. 72, 1992, 740.

სამყაროში კანონმდებლობა დახვეწილი და მარტივად გასაგები უნდა იყოს, არ უნდა ბადებდეს სხვაგვარად აღქმის რაიმე ეჭვს. ასე რომ იყოს, სასამართლოებს არ მოუხდებოდათ ნორმის განმარტების თეორიებისა და მეთოდების განვითარება, რათა ისინი უფრო გასაგები და აღქმადი იყოს საზოგადოებისათვის.¹⁵ სამართლებრივი ინტერპრეტაციის გზით, კანონის სწორი აზრის გასაგებად, მნიშვნელოვანია იურიდიული კონტექსტის ენობრივი, ლოგიკური და ტელეოლოგიური კრიტერიუმების განსაზღვრა.

ესა თუ ის იურიდიული ჩანაწერი თუ კანონმდებლის მიერ შედგენილი ნორმა არ არის მიმართული რომელიმე კონკრეტულისათვის, ინტერპრეტაცია შეიძლება პრივილეგირებულად ჩაითვალოს, ამისთვის არის აუცილებელი ჩვეულებრივი, ბუნებრივი მნიშვნელობით, კონტექსტიდან გამომდინარე განმარტების გაკეთება, როგორც ეს ფართო საზოგადოებაში იქნება მარტივად გაგებულ და ობიექტური გარემოებებიდან გამომდინარე მიზნობრივად მიჩნეული.¹⁶

ხშირად სხვადასხვა ნორმების ურთიერთმიმართებაში მთავარ როლს ასრულებენ არა ლოგიკური, არამედ ტელეოლოგიური არგუმენტები: ნორმის ინტერპრეტაცია თანხმობაში უნდა მოვიდეს იმ მიზანდასახულობასთან და სამართლიანობის წარმოდგენებთან, რომლებიც სამართლებრივ წესრიგშია მოცემული, რათა არსობრივად ერთნაირი თანაბრად შეფასდეს. თანაბარი მოპყრობის პრინციპი მოითხოვს სამართლებრივი შეფასებების თანმიმდევრულობას მთლიან სამართლებრივ სისტემაში. ამიტომ კანონის ინტერპრეტაცია უნდა ჯდებოდეს სამართლებრივ-ეთიკურ კონტექსტში. მოკლედ, კონკურირებული სამართლის ნორმების განსაზღვრავად საჭიროა სწორი მასშტაბის დადგენა. წესით ეს ხდება თელეოლოგიური ინტერპრეტაციის საფუძველზე, რომელიც ხშირად პრინციპებზე

¹⁵ გეგენავა. დ., თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, N1, თბილისი, 2013, 107. იხ: Ntaba Z.J.V., Constitutional Interpretation: Judicial Activism or Restraint, European Journal of Law Reform, Vol. X, no. 2, 2008, 251-252.

¹⁶ Wagner A., Interpretation, Law and the Construction of Meaning, 2007, 22.

ორიენტირებული ინტერპრეტაციაა. ამ გზით ხდება სამართლის ნორმებისა („რულეს“) და

„პრინციპების“ ურთიერთშეხება.¹⁷ აუცილებელია განომარტოს რა არის ტელეოლოგია და რა ადგილი აქვს მას დღევანდელ პრაქტიკაში. აღსანიშნავია, რომ სამართლის შეფარდების მეთოდებს შორის ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი ტელეოლოგიურ იურისპრუდენციას ეკუთვნის. იგი განსაკუთრებული იარაღია სამართალშემფარდებლის ხელში. მისი მეშვეობით მოსამართლე არ ერევა კანონმდებლის პოლიტიკური კომპეტენციების სფეროში, მაგრამ ხელს უწყობს საგნობრივად სწორი გადაწყვეტილების მიღებას.

თავად სიტყვა „ტელეოლოგია“ ბერძნული სიტყვისაგან („თელეიოს“ — მიზანს მიღწეული და „ლოგოს“ — მოძღვრება) მომდინარეობს და აღნიშნავს იდეალისტურ მოძღვრებას, რომლის მიხედვითაც ყოველი განვითარება წინასწარ განსაზღვრული მიზნის განხორციელებაა.¹⁸ ტელეოლოგიური იურისპრუდენციის თანახმად სამართლის უკან ყოველთვის დგას

განსაზღვრული მიზანი. სამართლის შეფარდების პროცესში აუცილებელია ამ მიზნის სწორად ახსნა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. თუ კანონის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა წინააღმდეგობაში მოდის ნორმის მიზანთან, გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს სწორედ ნორმის მიზნიდან და არა სიტყვასიტყვითი მნიშვნელობიდან გამომდინარე. იურიდიულ გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს მატერიალური და არა ფორმალური სისწორე.¹⁹ სამართლის თეორიის ზოგიერთი სახელმძღვანელოს ავტორი ნორმის ინტერპრეტაციის მეთოდებს შორის ტელეოლოგიურ განმარტებას საერთოდ არ მოიხსენიებს. ასეთ შემთხვევაში ტელეოლოგიური

¹⁷ ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამუშავებული გამოცემა, ბეკის გამომცემლობა, მიუნხენი, 2006, 66.

¹⁸ ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1989, იხ. ალექსიძე. ლ, სამართლის ჟურნალი N2, თბილისი, 2011, 7.

¹⁹ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 184.

განმარტების ადგილს ნაწილობრივ ლოგიკური, სისტემური და ისტორიული ახსნა-განმარტების მეთოდები, ასევე, შეზღუდვითი და განვრცობითი განმარტებები იკავებს.²⁰ ცნობილია, რომ სავინი გამოყოფდა სამართლის ნორმის გრამატიკულ, ლოგიკურ, ისტორიულ და სისტემურ განმარტებას. სავინის მიერ ჩამოყალიბებული სისტემა არ არის თანამედროვე ხერხების იდენტური. მაგალითად, სავინი აშკარად ეწინააღმდეგებოდა ნორმის ტელეოლოგიურ განმარტებას. მიუხედავად ასეთი არაერთგვაროვანი შეფასებისა, უდავოა ის ფაქტი, რომ კონკრეტული ნორმის განმარტებისას რამდენიმე მეთოდის ნაცვლად სრულიად შესაძლებელია მხოლოდ ერთის — ტელეოლოგიური განმარტების გამოყენება, რაც მას დამოუკიდებელ და არსებითად გამორჩეულ მეთოდად აყალიბებს. ეს ბუნებრივია, რადგან ნორმის ინტერპრეტაცია სუბიექტური ხასიათისაა. არ არსებობს სამართლის შეფარდების მეთოდების ერთიანი სისტემა. ერთ შემთხვევაში მოსამართლე შეიძლება დაეყრდნოს ისტორიული კანონმდებლის ნებას, სხვა შემთხვევაში უპირატესობა მიანიჭოს სისტემურ ან ტელეოლოგიურ მეთოდს.²¹

2.1.1. ინტერპრეტაცია, როგორც ლეგიტიმაციის პრობლემა

წლების განმავლობაში სამართლებრივი პროცესები მიმდინარეობს ყველა ქვეყანაში, მნიშვნელოვანმა ნაწილმა ტრანსფორმაცია განიცადა და ჩამოყალიბდა, როგორც სამართლებრივი სახელმწიფო. მსგავს სახელმწიფოს უნდა გააჩნდეს მაღალი სამართლებრივი კულტურა და უნდა იმართებოდეს კანონის უზენაესობის პრინციპის საფუძველზე.

სამართლიანი სასამართლოს უფლების კანონმდებლობით გათვალისწინებული გარანტიები უნდა უჩვენდნენ ადამიანებს იმის განცდას, რომ ისინი შეძლებენ საკუთარი უფლებების/კანონიერი ინტერესების სასამართლოში დაცვას, ამასთან, უნდა იწვევდნენ სასამართლოს

²⁰ ინწკირველი გ., სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბილისი, 1993, 128-130; სავანელი ბ, სამართლის თეორია, თბილისი, 1997, 189-190.

²¹ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 156.

სამართლიანობის აღქმადობას საზოგადოების მხრიდან. გამჭვირვალე, სრულყოფილი, ადეკვატური და საკმარისი პროცედურები უზრუნველყოფს სასამართლოს გადაწყვეტილებათა ლეგიტიმურობას, მათ საზოგადოებრივ აღიარებას, რაც ძალზე მნიშვნელოვანია სასამართლოსადმი და, საბოლოო ჯამში, მთლიანად ხელისუფლებისადმი საზოგადოების ნდობის ამაღლებისა და განმტკიცებისათვის.²² ნებისმიერი კანონის ძალაში შესვლის შემდგომი ეტაპია მისი შინაარსის გაგება. აქ ყურადღება ექცევა პიროვნების მიერ ნორმატიული შინაარსის აღქმას. კანონი მისი ადრესატებისთვის უნდა იყოს ადვილად აღქმადი და იძლეოდეს შედეგების მარტივად წინასწარ განჭვრეტის, მაგალითად, გადასახადის გამოთვლის შესაძლებლობას.²³ ეს ყოველივე კი მჭიდროდ უკავშირდება ლეგიტიმური მოლოდინის პრინციპს, შესაბამისად, ნორმის განსაზღვრულობისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია კანონის მკაფიოობის, განჭვრეტადობისა და თანმიმდევრულობის უზრუნველყოფა.²⁴ თუმცა ნორმათა არასწორმა ინტერპრეტაციამ შესაძლებელია ლეგიტიმურობის პრობლემა შექმნას, რაც თავის თავში გულისხმობს ცრუ ლეგიტიმურ მოლოდინს, კერძოდ, როდესაც ნორმა კანონმდებლობაში ნათლადაა ჩამოყალიბებული, თუმცა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლის მიერ განხორციელებული ქმედება ეწინააღმდეგება ნორმის მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში, კანონის შესაბამისად მოქმედება უმართლობად არ ჩაითვლება.²⁵ ინტერპრეტაციის შედეგი უნდა იყოს მკაფიო და გასაგები, უნდა უზრუნველყოს სამართლის ნორმის შინაარსის სიცხადე და გარკვეულობა. აზრის სიცხადე ხელს უწყობს ნორმის შინაარსის შეცნობას.

საერთოდ, რთულია ნორმის ინდივიდუალური და საჯარო ინტერესების ელემენტების ერთმანეთისაგან თვალსაჩინო გამიჯვნა. მოსაზრებას, რომ

²² საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №3/1/574, 23 მაისი, 2014.

²³ Schonberg S. J., Legal Certainty and Revocation of Administrative Decisions: A Comparative Study of English, French, and EC Law, Yearbook of European Law, Vol.19, No.1, 1999, 257.

²⁴ Avila H., Certainty in Law, Switzerland, 2016, 93-94.

²⁵ Raitio J., The Principle of Legal Certainty in EC Law, Springer, 2003, 200-203.

ნებისმიერი ნორმა, რომელიც ინდივიდუალურ ინტერესის დასაცავად არის მიმართული, ასევე საზოგადოებრივი ინტერესების სადარაჯოზეც დგას, აქვს მყარი საფუძველი.²⁶ ერთი მხრივ ნორმაშემოქმედება შეუფასებელია, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები კომპეტენტურები არიან, მიიღონ გადაწყვეტილება საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროსთან დაკავშირებით. მეორე მხრივ, აღმასრულებლებისათვის, რომლებიც უშუალოდ არ არიან არჩეულები ხალხის მიერ, განუზომელი უფლებამოსილების მინიჭება პრობლემატური საკითხია,²⁷ ამიტომ პრაქტიკაში დგება დელეგირებული უფლებამოსილების ლეგიტიმაციის პრობლემა, რომლის გადაჭრის სხვადასხვა გზა არსებობს.²⁸ მართლწესრიგი ყოველთვის სტატიკურია. ამავე დროს, დინამიკურია სამართლის სოციალური ბაზისი, რომელსაც განვითარების მაღალი ტემპი ახასიათებს. სოციალური ურთიერთობები მუდმივად ვითარდებიან და ხშირად კარდინალურად იცვლებიან. სამართალი ახდენს სოციალური ურთიერთობების „კონსერვაციას“ და ამ თვალსაზრისით, ყოველთვის კონსერვატიულია. ამავე დროს, სამართლის კონსერვატიული ფუნქცია არ უნდა უწყობდეს ხელს სტაგნაციას და არ უნდა დააბრკოლოს განვითარება.^{29,30}

გარკვეული დისპროპორცია სოციალური ურთიერთობების განვითარების დინამიკურ ხასიათსა და სამართლის კონსერვატიულ ბუნებას შორის ყოველთვის იარსებებს. ამავე დროს, განვითარების ახალი ტენდენციების ასახვა არ უნდა ხდებოდეს მხოლოდ საკანონმდებლო ცვლილებებით. კანონმდებლობაში ცვლილებების

²⁶ თორაძე დ., საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას დამდგარი პასუხისმგებლობა სხვა პირთა მიმართ, თბილისი, 2019, 78.

²⁷ Balla S.J., Between Commenting and Negotiation: The Contours of Public Participation in Agency Rulemaking, "I/S: A Journal of Law and Policy for the Information Society", Vol.1, 2004/2005, 60.

²⁸ Punder H., Democratic Legitimation of Delegated Legislation-A Comparative View on the American, British and German Law, Cambridge Journals, "International Comparative Law Quarterly", Vol. 58(2), 2009, 353-378.

²⁹ ხუბუა გ., სამართლის მეთოდები N2, გ. ხუბუას და დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი,

³⁰, 12.

შეტანა მოითხოვს ფორმალურ პროცედურებს და დიდ დროს.

შეცვლილ სიტუაციებთან სამართლის ადაპტირება შესაძლებელია მოხდეს არა მარტო საკანონმდებლო ცვლილებებით, არამედ ნორმის განმარტების გზითაც. ნორმის განმარტება, არსებითად, „სამართლის განვითარება“³¹ სამოსამართლო სამართალი, როგორც სამართლის შემეცნების წყარო, სწორედ ნორმათა განმარტების გზით ყალიბდება.³² გავრცელებულია აგრეთვე მოსაზრება, რომ სამართალგანვრცობის ლეგიტიმურობა გამომდინარეობს მართლმსაჯულებისათვის დაწესებული აკრძალვიდან, უარი თქვას მართლმსაჯულების განხორციელებაზე: სასამართლო ხელისუფლებას უფლება არ აქვს უარი თქვას კონკრეტული საქმის გადაწყვეტაზე. თუ ამ საქმის გადასაწყვეტად კანონისმიერი მოწესრიგება ვერ მოიძებნება, მართლმსაჯულების ორგანოს სხვა არაფერი დარჩენია, თუ არა გადაწყვეტილების მიღება სამართალგანვრცობის საფუძველზე.

2.1.2. არგუმენტები კანონის მიზნიდან გამომდინარე

საკანონმდებლო რეგულირებას საფუძველად უდევს კონკრეტული სოციალური პროცესების მართვის სამართლებრივ-პოლიტიკური მოდელი: როდესაც კანონმდებელი განსაზღვრულ ქცევას სავალდებულოდ ადგენს, ამით მას სურს განსაზღვრული მიზნების მიღწევა. ასეთ შემთხვევაში, მას მინიჭებული აქვს რეგულირების უფლებამოსილებები: ერთი მხრივ, დასახული მიზნის მიღწევასთან, ხოლო, მეორე მხრივ, ამ მიზნის მისაღწევად გამოსაყენებელი სამართლებრივი საშუალებების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით. კანონის ინტერპრეტაცია უნდა ემსახურებოდეს ამ კანონის მიზანს. ინტერპრეტაციის სუბიექტური თეორიის მიხედვით, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კანონმდებლის წარმოდგენებს სამართლის ნორმის

³¹ იქვე. 13.

³² ხუბუა გ., სამართლის მეთოდები N2, გ. ხუბუას და დ. გეგენავას რედაქტორობით, 2018, 12. იხ., გოგიაშვილი. გ., სამოსამართლო სამართალი, თბილისი, 2014; ო. ჯორბენაძე, სამოსამართლო სამართლის პრობლემები, თბილისი, 2007.

მიზნისა და მიზანშეწონილობის თაობაზე.³³ ასევე, ინტერპრეტაციის ობიექტური თეორიის მიხედვითაც, კანონმდებელს მინიჭებული აქვს კომპეტენცია, კანონის მეშვეობით ერთი ან მეორე მიზანი აირჩიოს და ამ მიზნის განხორციელების გზები დაადგინოს. ეს შეესაბამება, ასევე, ფუნქციების დანაწილებას ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მიხედვით, რომ კანონის ინტერპრეტაცია არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კანონმდებლის გადაწყვეტილებებს კანონის მიზნისა და მიზანშეწონილობის თაობაზე. საპარლამენტო ქვეყნებში ამ გადაწყვეტილებებს ხმათა უმრავლესობით იღებენ დეპუტატები, რომლებიც კანონის მიღების პროცესში მონაწილეობენ. ვინც ინტერპრეტაციის ობიექტური თეორიის მიხედვით, საკანონმდებლო გადაწყვეტილების არსს ადგენს, კანონმდებელს ხალხის წარმომადგენლის როლს აკისრებს, რომელიც ლეგიტიმურად სამართლიანობის იმ წარმოდგენებიდან გამომდინარე უნდა მოქმედებდეს, რომელზეც სამართლებრივ საზოგადოებაში უმრავლესობის კონსენსუსი არის მიღწეული.³⁴ კანონის გამომყენებელიც ლეგიტიმური წარმომადგენლობის სამსახურში დგას. სამართლის ნორმის მიზნის შესახებ მნიშვნელოვან მითითებას შეიცავს მისი წარმოშობის ისტორია, ანუ ინტერპრეტაციის ისტორიული კრიტერიუმი. ავტორთა ერთი ნაწილი განასხვავებს წარმოშობის (გენეტიკურ) კომპონენტსა და სამართლებრივ ტრადიციას, რომელშიც ხდება ამ კანონის ჩართვა. შეიძლება ითქვას, რომ რთულია ამ ორი კომპონენტის ერთმანეთისგან ცალსახად გამიჯვნა, რადგან ტრადიცია, რომელსაც კანონი უკავშირდება, ატარებს ხშირად იმ სურათს, რომელიც საკანონმდებლო პროცესის მონაწილეებს მათი საქმიანობის პროცესში თვალწინ ედგათ. ამ გზით აისახება ტრადიცია კანონის წარმოშობის პროცესში, მაშასადამე, ვიწრო გაგებით მისი წარმოშობის ისტორიაში. ამ თვალსაზრისით, მაგალითად, ადამიანის ძირითად უფლებათა

³³ ციპელიუსი რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამუშავებული გამოცემა, მიუნხენი, 2006, 61.

³⁴ იქვე, 62.

„კლასიკური“ გარანტიები – თუ სხვაგვარი ინტერპრეტაციის გაკეთების უმნიშვნელოვანესი არგუმენტები არ არსებობენ – განმარტებულ უნდა იქნენ, როგორც ეს ტრადიციულ, ადამიანის უფლებათა ისტორიულად განვითარებულ გაგებას შეესაბამება. ასეთ ტრადიციულ სურათს წარმოადგენდა, მაგალითად, ადამიანთა მსხვერპლთშეწირვა, რომელიც თანამედროვე დასავლური კონსტიტუციებისათვის „რელიგიის თავისუფლების“ ცნებიდან თავიდანვე გამოირიცხა. ვინაიდან კანონის მიღების პროცესში შექმნილი ეს დოკუმენტები სამართლიანობის შესახებ წარმოდგენებსა და სამართალ-პოლიტიკურ მიზნებს ასახავენ, და უმრავლესობის კონსენსუსუნარიან შეხედულებებს გამოხატავენ, ამდენად, ლეგიტიმურია მათი, როგორც კანონის სათანადო ინტერპრეტაციის ვარიანტის შესარჩევად მნიშვნელოვანი არგუმენტის, გამოყენება.³⁵ არსებობს თვით კანონმდებლის მიერ ღიად დატოვებული სივრცე ნორმის შინაარსის დაკონკრეტებისა და მისი ლეგიტიმური ცვლილებისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი თავის თავზე აიღებდა იმ ფუნქციას, რომელიც, ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მიხედვით, კანონმდებელს ეკუთვნის. მხოლოდ კანონმდებელია მოწოდებული, რომ მიიღოს სამართალპოლიტიკურ გადაწყვეტილებები და არა სასამართლო: ასეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორც წესი, იგი ფლობს უფრო მეტ ინფორმაციულ საფუძვლებს, ვიდრე სასამართლო. მხოლოდ კანონმდებელი იღებს გადაწყვეტილებებს საზოგადოებასთან ნებადართულ ჭიდილში და ამით იგი ექვემდებარება დემოკრატიული კონტროლის მექანიზმებს, რომლებიც აუცილებელია პოლიტიკური ორიენტაციის პროცესის სწორად განსაზღვრისათვის, მათ შორის, სამართალპოლიტიკური მიზნების შერჩევისა და ურთიერთგამიჯვნისათვის.³⁶ აღმასრულებელ-საკანონმდებლო ურთიერთობები სახელმწიფოთა მიხედვით განსხვავებულია, რასაც

³⁵ იქვე, 63.

³⁶ იქვე, 64.

ძირითადად სახელმწიფოთა მმართველობის ფორმა განაპირობებს. ³⁷ დემოკრატიულ სამართლებრივ სისტემაში სამართლის ნორმათა განმარტება გამიჯნულია სამართალშეფარდების პროცესისაგან. განმარტება მოწოდებულია უზრუნველყოს სამართლის ნორმების ყოველმხრივი რეალიზაცია აღმასრულებელი ორგანოების, სასამართლოსა და პროკურატურის საქმიანობაში. განმარტება ზემოქმედებას ახდენს სამართლის ნორმების ერთგვაროვან გაგებასა და შეფარდებაზე, საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებაზე. ³⁸ ნორმათა ინტერპრეტაციაზე ყველა სამართალშემოქმედებით პროცესში ჩართულ პირს შესაძლოა სხვადასხვა აზრი ქონდეს და რეალურ, ფაქტობრივ მიზნებს მოარგონ ესა თუ ის ნორმა, თუმცა ნორმას თავიდანვე უნდა ქონდეს მაღალი განჭვრეტადობის ხარისხი, რაც მისი იმპლიმენტაციისას და შემდეგ უკვე პრაქტიკაში გამოყენებისას შესაძლებელს გახდის ნაკლებად მტკივნეულად აისახოს ესა თუ ის გადაწყვეტილება პირის, თუ პირთა წრის ინტერესებზე.

2.1.3. შეზღუდული და გაფართოებული ტელეოლოგიური განმარტების პრაქტიკა

ტელეოლოგიური განმარტება არ არის ნორმის, კანონის ისეთი განმარტება, რომელიც არკვევს კანონის ობიექტურ მიზანს “*ratio legis*” და არა კანონმდებლის საწყის ნებას. გასათვალისწინებელია რომ კანონი მიღებისთანავე წყვეტს კავშირს კანონმდებელთან. სამართლის ნორმას საფუძვლად უდევს მიზანი, „თუ გავიგებთ სამართლის მიზანს, მაშასადამე, გავიგებთ სამართალსაც.“ ³⁹ მიზანმიმართული ინტერპრეტაცია სასარგებლო

³⁷ King A., *Modes of Executive-Legislative Relations: Great Britain, France, and West Germany*, *Legislative Studies Quarterly*, No.1, February 1976, 11.

³⁸ ალფაიძე თ., *შესავალი სამართალმცოდნეობაში*, თბილისი, 2011, 332.

³⁹ ხუბუა გ., *სამართლის თეორია*, თბილისი, 2004, 156.

ინსტრუმენტია.⁴⁰ ტელეოლოგიური განმარტების ორი ხერხი არსებობს: შეზღუდული და გაფართოებული. ზოგჯერ სამართლის ნორმა მოიცავს ისეთ ურთიერთობებსაც, რომელზეც მისი მოქმედება არ უნდა გავრცელებულიყო. ასეთ შემთხვევაში ტექსტის სიტყვასიტყვითი განმარტება შეიძლება წინააღმდეგობაში მოვიდეს ნორმის მიზანთან.⁴¹ არა სამართლებრივ ინტერესთა შედარებას, არამედ თავად სამართლის ნორმის არსსა და მიზანს ეყდრნობა ნორმის ტელეოლოგიური გაფართოება: აქ ხდება არა სამართლებრივი შედეგის გამოყენება წინაპირობების არარსებობის გარეშე, არამედ შემადგენლობით მოცემულ წინაპირობებს სხვა ისეთი სამართლებრივი შედეგი მიეძმება, რომელსაც კანონი თავად არ ითვალისწინებს. ასეთი მიზმა გამართლებულია იმით, რომ კანონით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგი კანონის არსთან და მიზანთან (ბერძნ. telos) მიმართებით ძალიან ვიწროდაა ფორმულირებული და ტელეოლოგიურად უნდა გაფართოვდეს, რათა მოწესრიგების

არაგეგმაზომიერი ნაკლი შეივსოს და ნორმის მიზანი განხორციელდეს.⁴¹

სწორედ ამ დროს გამოიყენება ტელეოლოგიური რედუქცია, შეზღუდვითი განმარტება, და ნორმა არ გამოიყენება, თუ მისი შეფარდება მიგვიყვანს კანონის მიზნის საწინააღმდეგო შედეგამდე. ამ შემთხვევაში, კანონი შეზღუდულად განიმარტება მისი მიზნიდან გამომდინარე.⁴² ცხადია, ტელეოლოგიური რედუქცია განსაკუთრებულ ლეგიტიმაციას მოითხოვს, ვინაიდან კანონის სიტყვასიტყვითი განმარტება იგნორირებულია კანონშემფარდებლის მიერ, მაგრამ ასეთი ქცევის მიზეზი ობიექტურია ნორმის ტექსტის სიტყვასიტყვითი განმარტება იმდენად ფართოა, რომ აშკარად სცილდება კანონის მიზანს.⁴⁴ ტელეოლოგიური რედუქციის თვალსაჩინო

⁴⁰ Mitchell. C., Interpretation of Contracts, UK, 2007, 63. ⁴¹

იქვე, 156.

⁴¹ მუდჰორსტი ო., სამართალცოდნეობის საფუძვლები, დ. მაისურაძის თარგმანი თბილისი, 2019, 177.

⁴² ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 157. ⁴⁴
იქვე. 158.

მაგალითია შვეიცარიის ერთ-ერთი კომუნის მიერ ხეტყის შეზღუდული რესურსის გამო ღობისათვის ხის მასალის გამოყენების აკრძალვა. ღობის მასალად შეიძლებოდა მხოლოდ ქვის გამოყენება. მოგვიანებით, სასაფლაოს გაუკეთდა რკინის (და არა ქვის) ღობე. ერთ-ერთმა მოქალაქემ სარჩელით მიმართა სასამართლოს. მომჩივანის აზრით, რკინის ღობე სასაფლაოს ესთეტიკურად აუშნობდა. სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა და განმარტა, რომ კომუნის მიერ დადგენილი ნორმის მიზანი იყო ღობის მასალად ხის გამოყენების შეზღუდვა. სასამართლოს დასკვნით, ნორმის მიზანი იძლეოდა რკინის ღობის მიმართ კომუნის მიერ დადგენილი წესის ტელეოლოგიური რედუქციის საშუალებას. ბ) ტელეოლოგიური რედუქციის საპირისპირო პროცესია ტელეოლოგიური ექსტენზია — განვრცობა, როცა ნორმის მოქმედება ვერ ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომელთა რეგულირებაც კანონის აშკარა მიზანს წარმოადგენს. აღნიშნულის მაგალითი გვხვდება ჯერ კიდევ ძველ რომში: “თორმეტი ტაბულის კანონის მიხედვით მესაკუთრე პასუხს აგებდა თავისი “ოთხფეხის” (ქუადრუპეს) მიერ მიყენებული ზარალისათვის (დიგესტები, IX წიგნი, I). პუნიკური ომების შემდეგ იტალიაში დამკვიდრებული სირაქლემა ხშირად ხდებოდა ზარალის მიზეზი. რომაელმა პრეტორებმა იხელმძღვანელებს ტელეოლოგიური ექსტენზიის პრინციპით და ნორმის მოქმედება „ორფეხა“ სირაქლემაზეც განავრცეს.⁴³ ტელეოლოგიური შევიწროების (რედუქციის) გზით სამართლის ნორმის გავრცელების სფერო იქამდე მცირდება, ვიდრე გავრცელების სფერო და ნორმის მიზანი ერთმანეთს არ დაემთხვევა.

ტელეოლოგიური რედუქციის საპირისპირო პროცესია ტელეოლოგიური ექსტენზია - განვრცობა, როცა ნორმის მოქმედება ვერ ვრცელდება იმ ურთიერთობებზე, რომელთა რეგულირებაც კანონის აშკარა მიზანს

⁴³ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 158.

წარმოადგენს. ⁴⁴ საქართველოს პრაქტიკაში არაერთი საქმეა, სადაც იხელმძღვანელებს

ტელეოლოგიური ექსტენზიის პრინციპით და ნორმის მოქმედება განავრცეს.

სახეზეა სასამართლოს ფაქტობრივ-სამართლებრივი შეცდომა: თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებით (საქმე #3/4063-13) სარჩელი ბინის პრივატიზებაზე უარის თქმის შესახებ, ქ. თბილისის მერიის განკარგულების ბათილად ცნობისა და ქ. თბილისის სამგორის რაიონის გამგეობისათვის ბინის პრივატიზების თაობაზე ახალი ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებაზე არ დაკმაყოფილდა. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 5 ნოემბრის განჩინებით (#3ბ/205-14) უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2013 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება. სასამართლომ განმარტა, რომ „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“ საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 107-ე დადგენილების მე-3 პუნქტის მიხედვით, პრივატიზებას არ ექვემდებარება სამსახურებრივი დანიშნულების ბინა, აგრეთვე, ბინა საერთო საცხოვრებელში. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ის გარემოება, რომ სადავო საცხოვრებელი ფართი საავიაციო ქარხნის ბალანსზე იყო და მისი სარგებლობაში ან უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემა მოსარჩელეზე განხორციელდა საავიაციო ქარხნის ან მისი უფლებამონაცვლის მიერ, წარმოდგენილი მტკიცებულებებით არ დასტურდებოდა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მითითებული დადგენილებით მხოლოდ რეგისტრაცია (ჩაწერა) არ წარმოშობდა პრივატიზების საფუძველს.

მოცემულ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტები ადასტურებდნენ მოსარჩელის მიერ საცხოვრებელი ბინის ფლობის ფაქტს,

⁴⁴ იქვე.158

თუმცა უძრავი ნივთის ფლობისა და სარგებლობის რაიმე სამართლებრივი საფუძველი მოძიებული და სასამართლოში წარმოდგენილი ვერ იქნა.

საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის #73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტზე, რომელშიც მითითებულია იმ დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებითაც უნდა იქნეს დადასტურებული კანონიერი სარგებლობის ფაქტი, თუმცა კანონმდებელი არ იძლევა ამ დოკუმენტების ამომწურავ ჩამონათვალს და ადმინისტრაციულ ორგანოს ანიჭებს უფლებამოსილებას დაეყრდნოს უძრავი ქონების კანონიერი სარგებლობის ფაქტის დამადასტურებელ სხვა დოკუმენტებსაც. არც ადმინისტრაციულმა ორგანოებმა და არც ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არ გაითვალისწინეს სადავო ბინაში მოსარჩელის 60-წლიანი რეგისტრაციის („ჩაწერის“) ფაქტი, ასევე საკუთარი სახელით კომუნალური გადასახადების გადახდა, ვინაიდან იგი თავად არის აბონენტად რეგისტრირებული. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგეობამ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ ვერ წარმოადგინა მოსარჩელის ბინაზე სხვის სახელზე გაცემული ორდერი, რადგან ასეთი დოკუმენტი არ არსებობს. ამდენად, არავითარი კერძო ან საჯარო ინტერესი სადავო ბინაზე არ იკვეთება. საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ ზემოაღნიშნულ ნორმათა განმარტებიდან და საქმეში წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, რომლებიც გამყარებულია კანონით დადგენილი წესით დადასტურებული შესაბამისი დოკუმენტებით, სადავო ბინაში მოსარჩელის იმ დროს არსებული „ჩაწერის ინსტიტუტის“ საფუძველზე 60-წლიანი

რეგისტრაციის ფაქტი მიჩნეულ უნდა იქნეს იმ „სხვა დოკუმენტად“, რომელიც მითითებულია საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის #73 ბრძანებულებით დამტკიცებული „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის“ მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტში. იმდროინდელი კანონმდებლობის საფუძველზე ბინაში ჩაწერა წარმოადგენდა სახლის ფლობის, სარგებლობისა და განკარგვის უტყუარ დამადასტურებელ საბუთს. ამდენად, ის გარემოება, რომ პირი ჩაწერილი იყო მითითებულ საცხოვრებელ სადგომში, ქმნიდა საცხოვრებელ ფართზე მის კანონისმიერ უფლებებს“. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა 2014 წლის 10 იანვრის სს ... წერილი, რომლის მიხედვით სს ... საბინაო ფონდი 1996 წლიდან, პრეზიდენტის ბრძანებულების თანახმად, გადაეცა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს, რაც იმის დამადასტურებელია, რომ 2013-2014 წლებისთვის მოსარჩელის საცხოვრებელი ფართი აღარ განეკუთვნება არც სამსახურებრივი დანიშნულების ბინას და არც საერთო საცხოვრებელს. სადავო ბინა ირიცხება თვითმმართველობის ორგანოს ბალანსზე, რის გამოც იგი წარმოადგენს პრივატიზების ობიექტს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ ახალი გადაწყვეტილებით ბათილად ცნო გასაჩივრებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი და მოპასუხეს დაევალა ახალი აქტის გამოცემა ბინის მოსარჩელისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ.⁴⁵ ყოველივე ზემოაღნიშნულიდან შესაძლებელია ითქვას, რომ სამართლის მეცნიერებამ ტელეოლოგიური განმარტების მნიშვნელობა არ შეიძლება მხოლოდ ნორმის განმარტების პროცესით შეიზღუდოს.

⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ოქტომბრის განმარტება საქმეზე Nბს-180-177(კ-15),

2.2. ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია და ინკვიზიციურობა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში

კონსტიტუცია, ქვეყნის ძირითადი კანონი, ადმინისტრაციული სამართალწარმოების მეშვეობით ერთგვარად აფართოებს ახალი თეორიული და პრაქტიკული შესაძლებლობების არეალს, რაც გულისხმობს „არაპირდაპირი გზით“ კონსტიტუციის ყოველდღიურ ცხოვრებაში გატარებასა და ინტერპრეტაციას. კონსტიტუციური სამართლებრივი ძირითადი პრინციპების გაგრძელება და მისი ზეგავლენა სწორედ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში იჩენს თავს.⁴⁶ თავად ადმინისტრაციული სამართალი ეფუძნება საკონსტიტუციო სამართალს და მის პრინციპებს, უზრუნველყოფს საკონსტიტუციო პრინციპების სიცოცხლისუნარიანობას.⁴⁷ ადმინისტრაციული კანონმდებლობა მიმართულია კერძო და საჯარო ინტერესის დაბალანსებისკენ და შეუძლებელია რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება.⁴⁸ თვითონ ადმინისტრაციული ნორმათშემოქმედება,⁴⁹ როგორც აღმასრულებელი ორგანოს გადაწყვეტილება⁵⁰, სხვა არაფერია თუ არა სამთავრობო უწყებების სამართალშემოქმედებისა⁵¹ და კანონის დაზუსტებისა.⁵² თუმცა ამან

⁴⁶ ცხადაძე ქ, ადმინისტრაციული სამართალი, მ. კოპალეიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 5. ციტატა: P. Häberle, Verfassungsprinzipien im Verwaltungsverfahren, Festschrift zum 50jährigen Bestehen des R.Boorbegs Verlag, Stuttgart, 1977, 47.

⁴⁷ ადეიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005, 25-26.

⁴⁸ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტი

⁴⁹ Ю.М., Овсянко Д.М., Попов Л.Л., Административное право, М., 2002, 256.

⁵⁰ Тихомиров Ю.А., Административное право и процесс: полный курс, М., 2001, 107.

⁵¹ Furlong S.R., Kerwin M.C., Interest Group Participation in Rule Making: A Decade of Change, Economics of Administrative Law, edited by Rose-Ackerman S., An Elgar Reference Collection, Chentelham, UK, Northhampton, MA, USA, 2007, 318.

⁵² ადმინისტრაციული ნორმათშემოქმედება განმარტებულია, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დადგენილების შემუშავება კანონის დასაზუსტებლად. დაწვრილებით იხ. Аэдама А., Ломан Э., Паррэст Н., Пилвинг И., Вэне Э., Руководство по административному производству, Тарту, 2005, 560.

ადმინისტრაციულ ორგანოს რა უნდა შეათავსებინოს კანონმდებლის ფუნქცია და მას მისივე დისკრეციის ფარგლებში უნდა შეეძლოს თანაზომიერების დაცვა.

ადმინისტრაციული ნორმაშემოქმედების ასეთივე განმარტებას იძლევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (შემდგომში — სზაკ). სზაკ-ის მიხედვით, ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საკანონმდებლო აქტის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი, რომელიც შეიცავს მისი მუდმივი ან დროებითი და მრავალჯერადი გამოყენების ქცევის ზოგად წესს.⁵³ მაშასადამე, ამერიკელი და ქართველი კანონმდებლისათვის ნორმაშემოქმედება, როგორც ერთ-ერთი მთავარი გამოგონება,⁵⁴ საკანონმდებლო პროცესის ადმინისტრაციული ეკვივალენტია,⁵⁷ რომელიც სამართლებრივი ნორმების შემუშავებაში⁵⁵ და საკანონმდებლო საქმიანობის დასრულებაში⁵⁹ გამოიხატება. სწორედ რომ ტელეოლოგიურ განმარტებებზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებები წარმოადგენს მოსამართლის მხრიდან ყველა პრინციპის დაცვითა და საქმის მნიშვნელოვანი გარემოებების ძირფესვიანად შესწავლის შედეგად მიღწეულ შედეგს, სწორედ რომ მნიშვნელოვანია სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნებოდეს სამართლებრივ პრინციპებს, შესაძლებელია ნორმის ზერელე, არამიზნობრივი განმარტებით დიდწილად უარესი შედეგი დადგეს და ამიტომაც საჭიროებს კანონი სწორ ინტერპრეტაციასა და კონტექსტუალურად მორგებას. ტელეოლოგიური მეთოდი სწორედ რომ ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მეთოდია, „დღეს ტელეოლოგიური მეთოდი ითხოვს წესების მნიშვნელობის მიზნობრიობის

⁵³ სზაკ, 1999 წლის 28 ივნისი, მე-2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტი.

⁵⁴ Cooper J.P., *Public Law and Public Administration*, 4th ed., Wadsworth Publishing, 2006, 180. ⁵⁷ Hall D.E., *Administrative Law Bureaucracy in a Democracy*, 2nd ed., Prentice Hall, Upper Saddle River, New Jersey, 2003, 110.

⁵⁵ იხ. Бровко Н.В., Смоленский М.Б., Соколова Ю.А., *Административное право*, М., 2003, 127. ⁵⁹ Croley S., *Making Rules: An Introduction, How Government Agencies Write Law and Make Policy* by Cornelius M. Kerwin, “Michigan Law Review”, Vol. 93, 1995, 1512.

დასაბუთებას.“⁵⁶ ინკვიზიციურ სისტემაში კი სასამართლომ ან ტრიბუნალმა შეიძლება თავად ჩაატაროს საგამომიებო მოქმედებები ან/და შეაგროვოს ის მტკიცებულებები, რომლებზე დაყრდნობითაც იქნება მიღებული გადაწყვეტილება საქმეზე.⁵⁷ ინკვიზიციურობის პრინციპი მოსამართლეს უფლებას აძლევს, საკუთარი ინიციატივით მოიპოვოს მტკიცებულებები, მხარეებს მისცეს მითითებები, მოსთხოვოს მათ სარჩელის ან შეგებებული სარჩელის დაზუსტება, საქმის განხილვისას მოიწვიოს მესამე პირები ან მხარეებს დაავალოს გარკვეული მტკიცებულებების მოპოვება. მოსამართლე თავადაც უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს მტკიცებულებათა მოპოვებაში. საბოლოოდ, მოსამართლე შეისწავლის საქმის ყველა ასპექტს და მიიღებს სამართლიან გადაწყვეტილებას. ინკვიზიციურობის პრინციპი ძირითადად ადმინისტრაციული სამართალწარმოებისთვისაა დამახასიათებელი. ადმინისტრაციული პროცესი უზრუნველყოფს ყოველი პირის საჯაროსამართლებრივი უფლებების დაცვასა და ადმინისტრაციული საქმიანობის კანონშესაბამისობაზე ობიექტურ კონტროლს. ეს კონტროლი კი ინკვიზიციურობის პრინციპის საფუძველზე ხორციელდება.⁵⁸ სასამართლოს უფლებამოსილება, თავად განსაზღვროს საჭირო მტკიცებულებების სახე და იზრუნოს მათ მოსაპოვებლად, არ ნიშნავს იმას, რომ პროცესის მონაწილე მხარეები სრულად გათავისუფლდებიან თავიანთი სასარჩელო მოთხოვნის დასაბუთების ვალდებულებისაგან. ინკვიზიციურობის პრინციპის არსი ნათლად იკვეთება საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში. კერძოდ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლის თანახმად, „სასამართლო უფლებამოსილია თავისი ინიციატივით მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციის ან მტკიცებულებების

⁵⁶ K.H. Friauf, *Techniques for the Interpretation of Constitutions in German Law*, 1968, 12.

⁵⁷ იხ. David Jackson: *Adversarial and Inquisitorial Systems* Medico-Legal Society of NSW Inc Scientific Meeting, March 2009, 1.

⁵⁸ კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ქარდავა ე., *ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო*, პ. ტურავას რედაქტორობით, თბილისი, 2008, 25.

წარმოსადგენად”.⁵⁹

სასურველია, რომ ადმინისტრაციულ პროცესში მოქმედი პრინციპების განმარტებისას მოსამართლეები მხარეებს ინკვიზიციურობის პრინციპზეც მიუთითებდნენ. პრაქტიკიდან ჩანს, რომ ხშირ შემთხვევაში საჭიროების მიუხედავად მოსამართლეები თავს იკავებენ ინფორმაციისა და მტკიცებულებების გამოთხოვისა და ზოგადად ინიციატივის გამოჩენისგან.

2.3. ტელეოლოგიური განმარტება, როგორც ინკვიზიციურობა

ტელეოლოგიური განმარტება ნიშნავს სამართლის ნორმის ობიექტური მიზნის განსაზღვრას. მისი მიზანია განსაზღვროს სამართლის ნორმის განხორციელების შესაძლებლობა. კერძოდ, რამდენად შეესაბამება კანონმდებლის წარმოდგენები, რომელიც საფუძვლად დაედო ნორმის მიღებას, დღეს ამ ნორმის გამოყენებისას მიღებულ გადაწყვეტილებებს. ტელეოლოგიური განმარტება შეეხება სამართლის ნორმის დამოკიდებულებას სამართლებრივი უსაფრთხოების, თანასწორობისა და მიზანშეწონილობის პრინციპების მიმართ.⁶⁰ ფართო გაგებით, კანონის განმარტების მეთოდებს განეკუთვნება სამართლის ნორმათა განვრცობა იმ შემთხვევებში, რომლებიც კანონმდებლის მიერ არ იქნა გათვალისწინებული ან განზრახ არ იქნა მოწესრიგებული, ასევე, შემთხვევები რომლებიც გარემოებათა ცვლილებამ გამოიწვია

(ტელეოლოგიური ექსპანსია). კანონის განვრცობითი განმარტება წარმოადგენს მოსამართლის უფლებამოსილებას, რომელმაც კანონი ანალოგიის გზით სამართლებრივად ერთგვაროვან შემთხვევებზე უნდა გამოიყენოს.⁶¹ „იურიდიული მეთოდოლოგია იმ წესების ერთობლიობაა, რომელიც სამართლის შემფარდებელმა უნდა გაითვალისწინოს ნორმის განმარტების

⁵⁹ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლი.

⁶⁰ თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბილისი, 2012, 244.

⁶¹ იქვე, 245

პროცესში“.⁶² სამართალშემფარდებლის მიერ ნორმის განმარტების მნიშვნელობას კარგად ასახავს ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე ჩარლზ ევან ჰუგესის მოსწრებული გამონათქვამი: „We are under a

constitution, but the constitution is what the judges say it is“.⁶³⁶⁴

ტელეოლოგიური განმარტებისას გადამწყვეტია ნორმის მიზანი დღევანდელი პერსპექტივიდან, რომლის ფარგლებშიც გასათვალისწინებელია ნორმის კონკრეტული განმარტებიდან გამომდინარე სოციალური თანმდევი შედეგები.

ვიციტ, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მოქმედებს სასამართლოს მიერ საქმის გარემოებების ყოველმხრივი და ობიექტური გამოკვლევის პრინციპი, რაც გულისხმობს სასამართლოს აქტიურ როლს, რომელიც უფლებამოსილია საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე, თავისი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები, მიიღოს გადაწყვეტილება დამატებითი ინფორმაციისა და მტკიცებულებების წარმოსადგენად. ადმინისტრაციული პროცესი გამოირჩევა ინკვიზიციური ბუნებით, რადგან საჯარო ნორმების დაცვაზეა ორიენტირებული, რითაც იგი განსხვავდება სამოქალაქო პროცესისგან, სადაც ხდება კერძო სამართლებრივი ინტერესების დაცვა. თუ ადმინისტრაციული დავის განხილვის პროცესში სასამართლოს არ დააკმაყოფილებს მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და მიიჩნევს, რომ არასაკმარისია საქმის გარემოებების ობიექტური გამოკვლევისა და საქმეზე ობიექტური ჭეშმარიტების დასადგენად იგი თავისი ინიციატივით უზრუნველყოფს მტკიცებულებების მოძიებასა და გარემოებების გამოკვლევას. ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ სასამართლომ შეიძლება ყურადღება გაამახვილოს ისეთ გარემოებებთან და

⁶² ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 176.

⁶³ ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი,

⁶⁴ , 120

მტკიცებულებებთან დაკავშირებით, რომლებიც მხარეებს პროცესის მიმდინარეობისას არ წარუდგენიათ სასამართლოს წინაშე.⁶⁵⁶⁶ ღირებულებებთან დაკავშირებული სამართლის ცნებები უდევს საფუძვლად ასევე სამართლიანობის ტელეოლოგიურ თეორიებს. ისინი სამართალს იგებენ ფუნქციურად, გარკვეული არასამართლებრივი მიზნის მიღწევის საშუალებად. კერძოდ, ეს მიზანი შეიძლება სარგებლიანობასა და ქმედითობაში მდგომარეობდეს (უტილიტარიზმი). ამ შემთხვევაში, უსამართლობა სხვა არაფერია, თუ არა სხვაობა მიღწეულ და მიღწევად საერთო სარგებელს შორის.⁶⁷ იურიდიული კაზუსის გადაწყვეტა, შესაბამისად, გულისხმობს კონფლიქტური სიტუაციების გადაწყვეტას, კანონით დადგენილი ინტერესთა ბალანსისა და კანონმდებლობაში ასახული ღირებულებათა სისტემის საფუძველზე. ამ ბალანსის გამოსავლენად მივმართავთ ტელეოლოგიურ განმარტებას, რომლის თანახმადაც, ნორმის ინტერპრეტაციისას სამართალგამომყენებელმა უნდა გაითვალისწინოს კანონის მიზნები, ვინაიდან ისინი ასახავენ ღირებულებათა სისტემას, რომელიც სამართალწესრიგის საფუძველში არის ჩადებული და რომელმაც თავისი ასახვა პოვა კანონმდებლობაში.⁶⁸

2.4. ტელეოლოგიური განმარტება და საჯარო ინტერესი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში

სახელმწიფო ხელისუფლება, მისი ორგანიზაცია და ფუნქციონირება მჭიდროდ უკავშირდება საჯარო ინტერესების აღიარებასა და დაცვას. საჯარო ინტერესების შესაბამისად ხდება სახელმწიფო ხელისუფლების მიერ მმართველობის პროცესის განხორციელება და გადაწყვეტილებების მიღება.

⁶⁵ ღვამიჩავა თ, საკასაციო საჩივრის დასაშვებობა ადმინისტრაციულ პროცესში, თბილისი, 2017,

⁶⁶ .

⁶⁷ მუდჰორსტი ო, სამართალცოდნეობის საფუძვლები, დ. მაისურაძის თარგმანი, თბილისი, 2019, 223.

⁶⁸ გოგობერიძე გ., გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჯარო ინტერესების დაცვისა და ლობირების პროცესის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ბ. ზოიძის რედაქტორობით, სამართლის ჟურნალი, N2, თბილისი, 2011, 231.

საჯარო ინტერესი სახელმწიფოს მიერ აღიარებული და სამართლით უზრუნველყოფილი სოციალური ურთიერთობის ინტერესია, რომლის დაკმაყოფილება მისი არსებობისა და განვითარების წინაპირობა და გარანტიაა.⁶⁹ თავის მხრივ საჯარო ინტერესის ფორმირება მრავალმხრივი და რთული პროცესია, მისი მიღწევისათვის მნიშვნელოვან გარემოებათა გათვალისწინება და შეხედულებათა ფართო სპექტრის ურთიერთდაკავშირება და კონსოლიდირებაა საჭირო. გავრცელებული შეხედულებით საჯარო ინტერესის ფორმირება სახელმწიფოს კანონშემოქმედებითი პროცესის შედეგად მიიღწევა, როდესაც სახელმწიფოს სახელით დგინდება სავალდებულოდ შესასრულებელი ნორმები და ისინი ნორმატიული სახით ფორმდება.⁷⁰ როდესაც საქმე ეხება საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის ვალდებულებას, მაგალითად შესაძლებელია მოვიყვანოთ ერთ-ერთი საინტერესო საქმე შრომითი დავების პრაქტიკიდან სადაც, ცაგერის რაიონულმა სასამართლომ 2014 წლის 24 ივლისის გადაწყვეტილებით (საქმე #3/5) ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის მ/შ ბრძანება მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ ცნობილი იქნა არარა ადმინისტრაციულსამართლებრივ აქტად; მოსარჩელე აღდგენილ იქნა თანამდებობაზე; ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობას მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა განაცდურის ანაზღაურება სამი თვის თანამდებობრივი სარგოს ოდენობით; ხოლო მორალური ზიანისა და საშვებულებო თანხის ანაზღაურების ნაწილში სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მოსარჩელეს ეთქვა უარი.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლომ (3/ბ-350-14,22.09.2014) სააპელაციო საჩივრის განხილვისას საფუძვლიანად მიიჩნია სასარჩელო მოთხოვნა სადავო

⁶⁹ Тихомиров Ю.А., Публичное право, Издательство БЕК, М., 1995, 55.

⁷⁰ გოგობერიძე გ., გადაწყვეტილების მიღების პროცესში საჯარო ინტერესების დაცვისა და ლობირების პროცესის რეგულირება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ბ. ზოიძის რედაქტორობით, სამართლის ჟურნალი, N2, თბილისი, 2011, 223.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობისა და იძულებით განაცდურის ანაზღაურების ნაწილში, ხოლო სამუშაოზე აღდგენის ნაწილში სასარჩელო მოთხოვნა არ გაიზიარა. სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა საქმეში წარმოდგენილი ცაგერის მუნიციპალიტეტის ახლად არჩეული გამგებლის წერილი, რომლის თანახმად, გამგეობა თანხმობას აცხადებდა მოსარჩელე აღდგენა ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის თანამდებობაზე. სასამართლომ საქმე განიხილა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 97.1 მუხლისა ⁷¹ და სზაკის მე-7 მუხლის მოთხოვნების უფლებელებით.⁷⁴ საინტერესოა საკასაციო სასამართლოს განმარტება: საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სზაკ-ის მე-7 მუხლი იმპერატიულად ადგენს დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე გადაწყვეტილების მიღებისას ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო და კერძო ინტერესების პროპორციულობის დაცვის ვალდებულებას. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, გამოსცეს ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მოსარჩელის მიმართებაში, მით უფრო, იმ ვითარებაში, როცა მუნიციპალიტეტი გამოხატავდა ნებას მოსარჩელის იმავე თანამდებობაზე აღდგენასთან დაკავშირებით. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 97-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ⁷² არაკანონიერად განთავისუფლებული მოხელის სამსახურში აღდგენას არ აბრკოლებს მის ნაცვლად ახალი მოხელის დანიშვნა. გარდა ამისა, აღნიშნული საკითხის განხილვისას შესაძლოა ადმინისტრაციულ ორგანოსა და მოხელის შეთანხმებით მოხდეს არა ზუსტად იმავე, არამედ ალტერნატიული

⁷¹ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, 97.1 მუხლი. ⁷⁴ სზაკ, მე-7 მუხლი.

⁷² „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი, 97-ე მუხლი, 1-ლი ნაწილი.

თანამდებობის შეთავაზება, რაც ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებას განეკუთვნება. შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობის მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს სასკ-ის 32-ე მუხლის მე-4 ნაწილი⁷³.⁷⁴ აღნიშნული გადაწყვეტილებით მოსამართლემ განმარტა და შეცვალა ერთგვაროვანი პრაქტიკა, აუცილებელი და გასათვალისწინებელია, რომ გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში საჯარო ინტერესების დაცვას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს, რადგან მასზე ბევრად არის დამოკიდებული მიღებული გადაწყვეტილების ადეკვატურობა საზოგადოების მოთხოვნებსა და საჯარო მართლწესრიგთან მიმართებაში.

III ადმინისტრაციული სამართალწარმოებაში არსებული რთული შემთხვევები

3.1. რთული შემთხვევის მახასიათებლები

სამართალს შეუძლია თითქმის ყველა პრობლემის გადაჭრა.⁷⁵ მოსამართლე არ ქმნის სამართალს, განმარტავს იმას, რაც უკვე სამართლებრივი მასალების ნაწილს წარმოადგენს.⁷⁶ როდესაც სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს რთული შემთხვევა, მან უნდა მოუხმოს მორალურ და პოლიტიკურ სტანდარტებს - პრინციპებს და სტრატეგიებს - იმისათვის, რომ განაჩენი

⁷³ სასკ, 32-ე მუხლი, მე-4 ნაწილი.

⁷⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის განმარტება საქმეზე #ბს-755-741(კკს-14).

⁷⁵ უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხაძიას თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 57.

⁷⁶ იქვე, 58.

გამოიტანოს.⁷⁷ სასამართლო პრაქტიკაში არსებობს საქმეები, რომელთა გადაწყვეტა და დასაბუთებულად გადაჭრა მარტივი არ არის, სწორედ ამიტომ მათ ენიჭებათ „რთული შემთხვევები“-ს სტატუსი, საინტერესოა რა განასხვავებს „რთულ შემთხვევას“ ჩვეულებრივი, გაბატონებული პრაქტიკისგან და რა მახასიათებლებით გამოირჩევა ის. სწორედ ამის ახსნისათვის უნდა გავიხსენოთ როლანდ დუორკინის შეხედულებები, რომ შევძლოთ გამოვკვეთოთ და შემდეგ ქვეთავებში, მაგალითებზე დაყრდნობით, მივიღეთ მთავარ სათქმელამდე. ტერმინი „რთული შემთხვევა“ არ არის ერთმნიშვნელოვანი სამართლის თანამედროვე ფილოსოფიაში. საქმეების დაყოფა რთულ და მარტივ შემთხვევებად მართლაც საინტერესო ფენომენია. როცა საქმე გვაქვს რთულ შემთხვევებთან, საქმე არ წარმოშობს ერთ სტანდარტულ გადაწყვეტას, არამედ, პირიქით, შესაძლებელია მსგავსმა საქმემ ისეთი ინტერპრეტაცია გამოიწვიოს, რომ გაკეთდეს ბევრი სასიკეთო და სწორი აღმოჩენა. რთული საქმის გადაწყვეტა არ გამომდინარეობს მხოლოდ იურიდიული წესებიდან და ყველაზე ხშირად ასეთ ვითარებაში აუცილებელია მოსამართლემ მიმართოს სხვა ხერხებს, გარდა იურიდიული შეფასებებსა გამოიყენოს მიზნობრივი საფუძვლები. კონტექსტუალური ეპიზოდების გათვალისწინებით⁷⁸ აუცილებელი და მნიშვნელოვანია გადაწყვეტილების მიღებისას ყურადღება ერთდროულად და ერთმნიშვნელოვნად გამახვიდლეს ყველა განჭვრეტად რისკზე⁷⁹ და სამართალშემოქმედის მიერ წინასწარ დასახული მიზნის იდენტიფიცირებაზე, თუნდაც მისი გვერდის ავლით მოხდეს გადაწყვეტილების მიღება, ამ დროს მოსამართლის როლი უმნიშვნელოვანესია. რთული შემთხვევების იდენტიფიცირებისას ჩნდება იურიდიული პრინციპების კონფლიქტის (შინაგანი კონფლიქტის) ან კანონის აშკარა კონფლიქტის წარმოშობის საფრთხე, ასევე კიდევ ერთი მნიშვნელოვანი და აღიარებული

⁷⁷ იქვე, 60.

⁷⁸ Mitchell C., Interpretation of Contracts, UK, 2007, 3.

⁷⁹ Jemielniak J., Mikłaszewicz. P., Interpretation of Law in the Global World: From Particularism to a Universal Approach, Berlin, Heidelberg, 2010, 30..

ნორმატიული წყობის კონფლიქტის წარმოშობის შემთხვევები (გარეგანი კონფლიქტი). სწორედ ეს წარმოადგენს მოსამართლისთვის რისკის ზონას და ამავდროულად გადაწყვეტილების მიღების პროცესს მეტად რთულს ხდის.

რთული შემთხვევების თეორია გაჩნდა, უპირველეს ყოვლისა, რონალდ დუორკინსა და ჰარტს შორის კამათის დროს. აღსანიშნავია, რომ ჰარტი ეძებდა რთული საქმეების გადაწყვეტას ფასეულობებისა და ექსტრაორდინალური ნორმების საფუძველზე, ხოლო დუორკინი ამას აკეთებდა პრინციპებისა და მითითებების საფუძველზე, რომლებიც, ფაქტობრივად, კანონის სისტემის ნაწილი იყო.⁸⁰

დუორკინისეული განმარტებით, მოსამართლე მხოლოდ მანამდე მიღებულ გადაწყვეტილებას ვერ დაეყრდნობა. სამართალი სიცარიელების გარეშე არსებული სისტემაა და მოსამართლის ფუნქცია არის არა სამართლის შექმნა, არამედ მისი განმარტება.⁸¹ უნდა აღინიშნოს, რომ ეს ნაშრომი ასახავს სამართლის ფილოსოფიის პრაქტიკულ გამოყენებას რთული იურიდიული პრობლემების გადაჭრაში. ეს იმიტომ ხდება, რომ ამ ნაშრომში განხილული მოსაზრებები აჩვენებს, რომ მნიშვნელობა ენიჭება ისეთი პრობლემების გადაწყვეტას, რომლებიც განსაკუთრებით რთულია. ნაშრომი მიზნად ისახავს აჩვენოს, რომ სამართლის ფილოსოფია აუცილებელია, როდესაც იშლება ჩვეულებრივი იურიდიული მიდგომა, ან იქ, სადაც იგრძნობა იურიდიული რეგულირების სრული ნაკლებობა. ეს კვლევა ასევე ცხადყოფს, თუ რამდენად სასარგებლოა სხვადასხვა ფილოსოფიურ-სამართლებრივი კონცეფციები მნიშვნელოვანი იურიდიული საკითხის კვლევაში.

⁸⁰ Zeidler K., Restitution of Cultural Rroperty, Warsaw, 2016, 19

⁸¹ უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხადას თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 38.

3.2. რთული შემთხვევის გადაწყვეტის თავისებურება

მოსამართლეებმა უნდა განიხილონ სხვადასხვა შეხედულებები და მიიღონ ის გადაწყვეტილება, რომელიც სამართალს აქცევს რაც შეიძლება მორალურად საუკეთესოდ. დუორკინი თვლიდა, რომ თითქმის ყველა სამართლებრივ საკითხზე არსებობს უნიკალური სწორი პასუხი. ობიექტური სამართალი, რომელიც დავას არ იწვევს, არის მხოლოდ კანონმდებლებისა და მოსამართლეების მიერ მიღებული წარსულის ოფიციალური გადაწყვეტილებების კრებული.

დუორკინის მიხედვით, ინტეგრალური ფილოსოფიის საფუძველზე, როდესაც რთულ საქმის გადაწყვეტას აპირებს მოსამართლე, აუცილებელია იურიდიული სისტემის საზღვრებში დარჩეს. მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ყველა რთულ საქმეს აქვს საკუთარი, ცალკეული, სწორი და შესაბამისი გამოსავალი, რასაც სასამართლო ორგანომ საქმის შესწავლის საფუძველზე უნდა მიაღწიოს.⁸² კონკრეტული შემთხვევის თავისებურების ანალიზისას მნიშვნელოვანია, მხედველობაში იქნეს მიღებული იმ ურთიერთობის სპეციფიკა, რომელსაც არეგულირებს შესაფასებელი ნორმატიული აქტი. შესაძლებელია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსხვავებული იყოს კანონის განსაზღვრულობის მოთხოვნები, იმის მიხედვით, თუ რა ტიპის ურთიერთობას აწესრიგებს ეს კანონი.⁸³

ჯერსი სტელმაჩი უარყოფს დუორკინის შეხედულებას, რომ რთულ შემთხვევებში არსებობს მხოლოდ ერთი სწორი და სათანადო განაჩენი, იგი აღიქვამს ერთი ან რამდენიმე სწორი განსჯის აღმოჩენის შესაძლებლობას. იგი ამბობს: "არ ვეთანხმები დუორკინს, რომელსაც სჯეროდა, რომ არსებობს

⁸² Zeidler K., *Restitution of Cultural Property*, Warsaw, 2016, 21.

⁸³ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, N N3/7/679, შპს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 29 დეკ, 2017.

მხოლოდ ერთი სწორი გადაწყვეტილება და მოსამართლის ამოცანაა - ჰერკულესი - განაჩენის პოვნა. იურიდიული პრაქტიკის მთლიანობა ამგვარი ვარაუდის წინააღმდეგია. განსაკუთრებით რთულ შემთხვევებში ვლინდება შედარებით უნიტარული განაჩენი, ხოლო გამოტანილი განაჩენი - ხშირად წინამორბედს წარმოადგენს.⁸⁴

3.3. ტელეოლოგიური განმარტების გამოყენება რთულ შემთხვევებში

სასამართლოს გადაწყვეტილება, თავისი არსით, სასურველია ცდებოდეს კონკრეტული შემთხვევის ფარგლებს და მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენდეს ნორმის განმარტების სასამართლო პრაქტიკაში. სასამართლოს გადაწყვეტილებები რთული შემთხვევების გადაწყვეტისას რეზონანსულ ხასიათს ატარებს და მოითხოვს სათანადო შეფასებას და დაფასებასაც. მით უფრო, რომ მოსამართლეს არ ეკისრება *contra legem* კანონის განმარტების ვალდებულება - მოსამართლეს შეუძლია გამოიყენოს, ან არ გამოიყენოს განმარტების ეს სახე. სასამართლო თავისუფალია და მას უნდა შეეძლოს კონტექსტიდან გამომდინარე, ტელეოლოგიურ ჭრილში გადაწყვიტოს „რთულ საქმედ“ მიჩნეული საკითხი.⁸⁵ ჩვენთვის ცნობილია, რომ განმარტება *contra legem* განსაკუთრებულ არგუმენტაციას მოითხოვს და, მოსამართლეები მას ყოველთვის დიდი სიფრთხილითა და, როგორც წესი, იშვიათად მიმართავენ. გასათვალისწინებელია წმინდა ფსიქოლოგიური მომენტიც. როდესაც მოსამართლეს უწევს კანონის ტექსტისაგან განსხვავებული განმარტების გაკეთება, მას შეიძლება გაუჩნდეს იმის განცდა, რომ ამ ფორმით ერთგვარად „უპირისპირდება“ მართლწესრიგს.⁸⁹ ამ ფსიქოლოგიური დისკომფორტის დასაძლევად მოსამართლეს უნდა დავეხმაროთ. დახმარება კი, პირველ რიგში, ნიშნავს რაციონალური არგუმენტების მეშვეობით იმის გაცნობიერებას, რომ ამ

⁸⁴ Zeidler K., *Restitution of Cultural Property*, Warsaw, 2016, 22.

⁸⁵ < <https://www.interpressnews.ge/ka/article/340147-contra-legem-sakartvelos-saxelit/> > ⁸⁹ ხუბუა გ., *სამართლის თეორია*, თბილისი, 2004, 78.

დროს მოსამართლე არ არღვევს კანონს და არ უპირისპირდება მართლწესრიგს. როდესაც მოსამართლე ახორციელებს კანონის განმარტებას *contra legem*, ის მართლწესრიგს კი არ უპირისპირდება, არამედ მოქმედებს ამ მართლწესრიგის ფარგლებში და მის დასაცავად.⁸⁶ თუ ტელეოლოგიურ პრინციპებს მოიშველიებს გაცდება კი მოსამართლე პოზიტიური სამართლის ბორკილებს? მართლწესგთან დაპირისპირების ნაცვლად მოსამართლეს შეუძლია ჰარმონიაში მოიყვანოს კონტექსტუალური მიზნებიდან გამომდინარე ყველა ის სამართლებრივი წინაღობა რაც მას „ხელს შეუშლიდა“ სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებაში. ყველა დასაბუთებული წინადადება უნდა განხილულ იქნას კონტექსტუალურ ჭრილში⁸⁷ და ეს სამართალშემოქმედისთვის ბუნებრივი და ნორმალური მდგომარეობა უნდა იყოს.

სამართალშემოქმედების პროცესში ხდება ნორმის ახალი შინაარსის დადგენა. სამართლის შეფარდების პროცესში განმარტების მეთოდების გამოყენებით ხდება ნორმის შინაარსის „უკეთ“ შეცნობა. ეს ეხება კანონმდებლის ნების „უკეთესად“ შეცნობასაც. ცალკეულ შემთხვევებში, ნორმის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა ვერ გამოხატავს კანონმდებლის ნებას. ან კანონის სიტყვასიტყვითი მნიშვნელობა, აშკარად შეუძლებელია იყოს კანონმდებლის ნება და მიზანი. ამ შემთხვევაში, მოსამართლეს შეუძლია განმარტების გზით უკეთესად შეიმეცნოს კანონმდებლის ნამდვილი ნება და მიზანი.⁸⁸

კანონმდებელი აწესრიგებს სოციალურ სინამდვილეს სამართლის ზოგადი ნორმების მეშვეობით, ხოლო მოსამართლე „რთული შემთხვევის“ გადაწყვეტისას გადაწყვეტილებას იღებს კონკრეტულ საქმეზე. კანონმდებელი

⁸⁶ < <https://www.interpressnews.ge/ka/article/340147-contra-legem-sakartvelos-saxelit/> >

⁸⁷ Kintseh W. and Teun A. van Dijk, Toward a Model of Text Comprehension and Production, N 5, 1978, 363-394.

⁸⁸ ხუბუა გ., ჟურნალი „სამართლის მეთოდები“, N2, გ. ხუბუას და დ. გეგენავას რედაქტორობით, 2018, 13.

ნორმის გამოცემისას ნაკლებად ხელმძღვანელობს იურიდიული კრიტერიუმებით და მისთვის გაცილებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური არგუმენტები. საკანონმდებლო საქმიანობა მოითხოვს ნების თავისუფლებასაც. კანონმდებლის ნების თავისუფლებას გაცილებით მეტი არეალი აქვს, ვიდრე მოსამართლისას. მოსამართლე ვერ გაცდება ნორმის იმ შინაარსს, რაც უკვე განსაზღვრა კანონმდებელმა. კანონმდებლისთვის ეს საზღვარი არ არსებობს, რადგანაც იგი ნორმის შინაარსს თავად ადგენს. მართალია, სამართალშემოქმედების პროცესში კანონმდებელიც შებოჭილია სოციალური სინამდვილის კანონზომიერებებით და თვითნებურად ვერ იმოქმედებს, მაგრამ შეუძლებელია შებოჭილობის ეს ხარისხი შევადაროთ სამართლის შემფარდებელი იურისტის შებოჭილობას.⁸⁹

3.3.1. ტელეოლოგიური განმარტების გამოყენების ფარგლები

ტელეოლოგიური არგუმენტი იურიდიული ინტერპრეტაციის საუკეთესო საშუალებაა. ბევრი რამ დაიწერა იურიდიული და ტელეოლოგიური არგუმენტების დაცვით. იურიდიულ თეორიაში კონსენსუსი მხოლოდ ტელეოლოგიური არგუმენტების დასაბუთებით მიიღწევა, საუკეთესო ან რეალური მნიშვნელობა არის ის, რაც გამოხატავს თავის მიზანს. ამასთან, ტელეოლოგიური არგუმენტებს შესაძლოა ჰქონდეს რამდენიმე ასპექტი (სუბიექტური და ობიექტური ტელეოლოგიური არგუმენტები). ისინი ახლოს არიან სხვა არგუმენტების მნიშვნელობასთან კერძოდ, ისტორიულთან, კონტექსტუალურთან, ფუნქციურ და მიზნობრივ არგუმენტებთან, პოლიტიკურ და წინასწარ განსაზღვრულ, განჭვრეტად არგუმენტებთან. იმის გათვალისწინებით, რომ ტელეოლოგიური არგუმენტი ეძებენ იურიდიული ნორმების საუკეთესო მნიშვნელობას, მათი ახსნის ყველაზე პოპულარულ მეთოდები (მსჯელობა) გამოყენებულია როგორც ეროვნულ სასამართლოებში,

⁸⁹ იქვე, 14.

ისე ევროპულ სასამართლოში, ასევე გამოიყენება ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში.⁹⁰

შესაძლებელია სუბიექტური და ობიექტური ტელეოლოგიურ ინტერპრეტაციაზე საუბარი, ასევე შეიძლება განვასხვავოთ სუბიექტური და ობიექტური მიზანი. სუბიექტური დანიშნულებაა გადაწყვეტილების ავტორის განზრახვა, ხოლო ობიექტური მიზანი ეხება შესაბამის სამართლებრივ სისტემას ან ობიექტურად მოაზროვნე ავტორის განზრახვას. რაც შეეხება სუბიექტურ მიზნებს თუ გადაწყვეტილების მიმღები დამოუკიდებელია, ადვილია გაამჟღავნოს მიზნის სიცხადე, თუ ავტორი კოლექტიური ორგანოა (მაგ., პარლამენტი), შესაძლოა მიზნობრივი განმარტება⁹¹ ისევ მოექცეს პოლიტიკური გავლენების ქვეშ, რაც კონფლიქტში მოიყვანს ტელეოლოგიის საწყის მიზნებს. სუბიექტური მიზნები ეხება რეალურ (ჭეშმარიტ) განზრახვას იმ ტექსტის შედგენის დროს. ეს არის "გენეტიკური" ფაქტი. ამრიგად, გერმანული ტრადიცია იყენებს ფრაზას „გენეტიკური ინტერპრეტაცია“ და ეს იხრება სუბიექტური ინტერპრეტაციისკენ. ავტორის განზრახვა მოიცავს მიზნებს, ღირებულებებს, ფუნქციას, ინტერესებს და პოლიტიკას, რომლებიც კოლიზიურად ერწყმის ერთმანეთს და ქმნის კონტექსტუალურ განმარტებას.⁹² მიზანი არის მეტაიურიდიული ელემენტი, როგორცაა საჭიროებები, ინტერესები და ფასეულობები, რომლებიც ასევე განიხილება ტელეოლოგიური არგუმენტაციის ობიექტებად. იჰერინგი პირველი იყო, ვინც მხედველობაში მიიღო ეს მეტაიურიდიული ელემენტები და მისივე თქმით, კანონი არის უფლებამოსილების განხორციელების ინსტრუმენტი. უნდა მოიძებნოს ნორმის მიზანი და არა კონცეფციები (ცნებები). იურისპრუდენცია კიდევ უფრო მეტად არის ორიენტირებული ინტერესების როლზე: კანონის ძირითადი ფუნქცია ხომ

⁹⁰ Harašić. Ž., MORE ABOUT TELEOLOGICAL ARGUMENTATION IN LAW, UDK 340.132.6 Received: 19th April 2015, 23.

⁹¹ Stanley Fish, „Intention is All There Is: A Critical Analysis of Aharon Barak’s Purposive Interpretation in Law“ (2008) 29(3) Cardozo L Rev 1109, 1116.

⁹² Harašić. Ž., MORE ABOUT TELEOLOGICAL ARGUMENTATION IN LAW, UDK 340.132.6 Received: 19th April 2015, 26.

ინტერესთა კონფლიქტის მოგვარება, სწორედ ამიტომ არის მიზნობრივი ინტერპრეტაციას ყველაზე აქტუალური და მისი მოქმედების ფარგლები ვერ მოექცევა კანონის ჩარჩოში.⁹³

3.3.2 ტელეოლოგიური განმარტების გამოყენების სამართლებრივი შედეგები

ტელეოლოგიურ სისტემას აყალიბებს პოზიტიური სამართლის მიზნები. სამართალი შეიძლება ესწრაფვოდეს ერთი ან რამდენიმე მიზნის რეალიზაციას, თუმცა მისი აბსტრაქტული ხასიათის გამო რთულია მიზნებისა და ღირებულებების ერთმანეთისგან გამიჯვნა. მართლწესრიგი არ შეიძლება იყოს იდეალურად სრულყოფილი. კანონი ვერ გაითვალისწინებს კონკრეტული ურთიერთობის გადაწყვეტის ყველა შესაძლო მოდელს, კანონის ტექსტი აბსტრაქტულია, რომლის ზოგადი დებულებაც განმარტებას მოითხოვს. მოსამართლეს ხშირად უწევს იმ ურთიერთობის გადაწყვეტა, რომელიც არ წესრიგდება სამართლის ნორმით. სამოსამართლო სამართალი არის სამართლის შეფარდებისა და არა სამართალშემოქმედების აქტი. სასამართლო გადაწყვეტილება არ წარმოადგენს სამართლის წყაროს. მართლმსაჯულება არის არა სამართლის წყარო, არამედ სამართლის შემეცნების წყარო. იურიდიულ პრაქტიკაში გადაწყვეტილებას ხშირად ღებულობენ ზემდგომი ინსტანციის მიერ განვითარებული სამართლებრივი პრინციპების საფუძველზე.⁹⁴ ფუნქციური თვალსაზრისით, სამართლებრივი წესები შეიძლება ჩაითვალოს, კონკრეტული მიზნების და ფასეულობების - იურიდიული, სოციალური და ეკონომიკური მიზნების მისაღწევად. როდესაც მოსამართლეები იყენებენ იურიდიულ წესებს და იღებენ გადაწყვეტილებას კონკრეტულ სიტუაციაებში ხშირად ამართლებენ ან უწევთ გაამართლონ თავიანთი განაჩენი ტელეოლოგიური არგუმენტაციის საშუალებით, რაც ცხადყოფს, რომ

⁹³ Harašić. Ž., MORE ABOUT TELEOLOGICAL ARGUMENTATION IN LAW, UDK 340.132.6 Received: 19th April 2015, 26, 455, 456. Interest jurisprudence gained relevance in the 1920s due to the work of s Ph. Heck.

⁹⁴ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004, 48.

ინტერპრეტაცია შესაბამისობაშია კონკრეტული სამართლებრივი მიზნის მისაღწევად. რაც სამარლიანობის შეგრძნებას ექვემდებარება აყენებს და ქმედების არაკეთილსინდისიერების ნიშნები იკვეთება.⁹⁵ რა იურიდიულ პრინციპებზე ან ფასეულობებზე ვსაუბრობთ? ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ ფუნდამენტური პრინციპები არ შემოიფარგლება მხოლოდ საჯარო სამართლით, საკონსტიტუციო, ადმინისტრაციული და საერთაშორისო სამართალით. მათ მიმართავენ სახელმწიფოსა და ინდივიდს შორის ურთიერთობების ასევე ინდივიდებს შორის საკითხების მოსაგვარებლად. ფუნდამენტური პრინციპები მთელი სამართლებრივი

სისტემის პრინციპებია. ⁹⁶ კანონის არარსებობის გამო მოსამართლე ვალდებულია გადაწყვეტილება მიიღოს სამართლის პრინციპების ფარგლებში გაკეთებული ინტერპრეტაციის საფუძველზე. გარდა ამისა, საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლისას მოსამართლეს ექმნება შინაგანი რწმენა და გადაწყვეტილებას იღებს ადამიანის უფლებების დასაცავად.

3.3.3 მოსამართლე ჰერკულესი და ტელეოლოგიური ინტერპრეტაცია ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში: განმარტებასა და სამართალშემოქმედებას შორის

საინტერესოა სასამართლოს პოზიცია რთული საქმეების თაობაზე და ამერიკელი იურისტი რონალდ დუორკინის (1931- 2013) პოზიცია, როდესაც ის აღნიშნავს, რომ მოსამართლე არ ქმნის სამართალს, ის განმარტავს იმას, რაც უკვე სამართლებრივი მასალების ნაწილს წარმოადგენს. ამერიკელი იურისტის მთავარი დებულებაა, რომ „სამართალი სიცარიელების გარეშე არსებული სისტემაა“.⁹⁷ მოსამართლემ უნდა გამოიყენოს სტანდარტები, ვიდრე კანონები,

⁹⁵ Feteris, E., op. cit., Harašić. Ž., MORE ABOUT TELEOLOGICAL ARGUMENTATION IN LAW, UDK 340.132.6 Received: 19th April 2015, 30.

⁹⁶ Barak, A., op. cit. p. 164., Harašić. Ž., MORE ABOUT TELEOLOGICAL ARGUMENTATION IN LAW, UDK 340.132.6 Received: 19th April 2015, 30.

⁹⁷ უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხადაის თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 56- 67.

მოსამართლემ, რომელსაც დუორკინი „ჰერკულესს“ უწოდებს, აბსტრაქტული და კონკრეტული პრინციპების სქემის საფუძველზე უნდა უზრუნველყოს ზოგადი კანონის ზედმიწევნით გამართლება და კონსტიტუციური და კანონით დადგენილი პრინციპების მსგავსად, ეს გამართლება უნდა აღსრულდეს.⁹⁸ მნიშვნელოვანია, სასამართლო გადაწყვეტილებები ეფუძნებოდეს სამართლის პრინციპებს. დუორკინის მიხედვით, „სასამართლო დავის შემთხვევაში მოსამართლე აფასებს სხვადასხვა პრინციპის მნიშვნელობას და შემდგომ სამართლებრივი ნორმის საფუძველზე ასაბუთებს პრინციპით“.⁹⁹ გასათვალისწინებელია, რომ სამართლის პრინციპები ბევრად მნიშვნელოვანია და თუკი კანონი ეწინააღმდეგება მათ, მაშინ კანონი არ მოქმედებს.¹⁰⁰ დუორკინის სამი თეზისის მიხედვით: პირველი, კანონი არ შეიცავს მხოლოდ წესებს; მეორე, ობიექტური სამართლის დასადგენად მოსამართლეს არ სჭირდება მხოლოდ წესები; და მესამე, არ არსებობს მკაცრი დაყოფა კანონსა და ზნეობას შორის. ამრიგად, კანონის სისტემა, რომელიც ვიწროდ აღიქმება, როგორც იურიდიული წესების სისტემა, ძალიან ცუდია, რთულ შემთხვევების განსასაზღვრად. მარტივ შემთხვევებში მოსამართლემ დასკვნის გაკეთება მხოლოდ სათანადო იურიდიულ წესს უნდა დააფუძნოს. თუმცა, რთულ შემთხვევებში, ეს არასაკმარისია, და აუცილებელი ხდება, კანონმდებლობის უფრო ღრმად გაგებული სხვა ნორმების მოშველიება. სწორედ ამიტომ ჩვენ განვასხვავებთ კანონის პრინციპებს. წესების დაპირისპირების შემთხვევაში, ერთ – ერთი მათგანის გავრცელება შეჩერებულია, რაც იურიდიული მსჯელობის გზით ხორციელდება, ხშირად პროცედურა, რომელიც ემყარება შეჯახების წესებს, არ წარმოადგენს მძიმე შემთხვევას. სხვაგვარად რომ ვთქვათ ეს წარმოადგენს პრინციპის კონფლიქტს.

⁹⁸ იქვე, 56-67.

⁹⁹ აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ. გორგაძისა და ლ. გორგაძის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 63.

¹⁰⁰ რადბუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, დ. გეგენავას თარგმანი, ჟურნალი „სარჩევი“, N1-2(3-4), 2012, 239-240.

აქ ჩვენ გვჭირდება წონის პროცესის დაბალანსება და ამ პრინციპებში გამოხატული ღირებულებების და კრიტერიუმების სწორად წარმართვა.¹⁰¹ სამართლის პრინციპის ნათელი მაგალითია სწორედ მსგავსი სასამართლო გადაწყვეტილებები ქართულ სასამართლო პრაქტიკაში, როდესაც მოსამართლეს საშუალება ეძლევა მისი გადაწყვეტილება დაასაბუთოს სამართლის პრინციპების ფარგლებში. სწორედ სამართლის პრინციპები ავალდებულებს მოსამართლეს, მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება ისე, რომ არ გასცდეს სამართლის პრინციპების მიერ დადგენილ საზღვრებს.¹⁰²

¹⁰¹ Zeidler K., Restitution of Cultural Roperty, Warsaw, 2016, 20.

¹⁰² ხუბუა გ., სამართლის თეორია, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2015, 204- 205.

IV ტელეოლოგიური განმარტების გამოყენების პრაქტიკა ქართული ადმინისტრაციული სამართალწარმოების რთულ შემთხვევებში

4.1. სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება

4.1.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

საქმეში Nბს-234-234(2კ-18) განსახილველ დავის საგანს წარმოადგენს ნ.კ-ის სამსახურიდან გათავსუფლების შესახებ ბალდათის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2017 წლის 23 მარტის N41317 ბრძანების კანონიერების დადგენა, სამსახურში აღდგენა და განაცდურის ანაზღაურება, გათავსუფლება ეფუძნებოდა მუნიციპალიტეტის შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის დასკვნას.

ბალდათის მაგისტრატი სასამართლოს გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ნ.კ-მ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო საჩივარი დააკმაყოფილა ნაწილობრივ.

4.1.2. სასამართლოს პოზიციის ანალიზი

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ იმ პირობებში, როდესაც მოსარჩელის მიმართ მისი საქმიანობის პერიოდში რაიმე სახის დისციპლინური ზომა გამოყენებული არ ყოფილა, მხოლოდ ერთ დღეში მომზადებულ დაუსაბუთებელ აუდიტის დასკვნაში მოყვანილი გარემოებები საქმეში არსებულ სხვა მტკიცებულებებთან გაანალიზების პირობებში არ იძლეოდა ისეთი მკაცრი დისციპლინური პასუხისმგებლობის გამოყენების შესაძლებლობას, რასაც მოსარჩელის სამსახურიდან გათავსუფლება მოჰყვება, თუმცა, დაკავებულ თანამდებობაზე მოსარჩელის აღდგენისა და განაცდურის

მოპასუხეზე დაკისრების საკითხზე, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საკითხი ამ ეტაპისთვის არ ექვემდებარებოდა სასამართლო კონტროლს, რადგან აღნიშნული რეგულირდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118 მუხლის მე-3 პუნქტით.

საკასაციო სასამართლომ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, ნ.კ-ს სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ ბრძანების ბათილად ცნობასთან დაკავშირებით, თუმცა გარემოება იმის შესახებ, რომ დაკავებულ თანამდებობაზე მოსარჩელის აღდგენისა და განაცდურის მოპასუხეზე დაკისრების შესახებ მოთხოვნის განხილვა სასამართლოს კონტროლს არ ექვემდებარება, საკასაციო სასამართლოს მხრიდან გაუქმებულ იქნა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების ბათილობის შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება მოხელის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე არ წარმოადგენს ექსკლუზიურ, გამომრიცხველი ხასიათის კომპეტენციას. აღნიშნული ვალდებულების ექსკლუზიურობას არ ადგენს არც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი და არც სხვა რომელიმე საკანონმდებლო აქტი. შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოსათვის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით მხოლოდ აღნიშნული ვალდებულების დაკისრების ფაქტი არ გულისხმობს სასამართლო კომპეტენციის გამორიცხვას, იმსჯელოს მოსარჩელის პირვანდელ, უფლების შელახვამდე არსებულ მდგომარეობაში აღდგენის საკითხზე და გადაწყვიტოს იგი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, მოხელის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანების სასამართლო წესით ბათილად ცნობის შემდგომ საჯარო სამსახურის მხრიდან უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის თანამდებობაზე აღდგენის ვალდებულების შეუსრულებლობა მოხელეს, ფაქტობრივად, მძიმე მდგომარეობაში აყენებს, ვინაიდან მან თავიდან უნდა მიმართოს სასამართლოს სამსახურში აღდგენის მიზნით, რაც არაეფექტურს

ხდის მართლმსაჯულებას. ასევე ყურადღებას ამახვილებს, იმ გარემოებაზე, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი არ განსაზღვრავს მოხელის გათავისუფლების ბათილობის შემთხვევაში მისი თანამდებობაზე აღდგენის ვადებს. აღნიშნული დანაწესი, ცალსახად, რისკის ქვეშ აყენებს მოხელის სამართლებრივ მდგომარეობას, არაეფექტურს ხდის მისი მხრიდან სასამართლო წესით პირვანდელი, უფლების შელახვამდე არსებული მდგომარეობის აღდგენის სურვილს. საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა გარემოება, რომ აქტის ბათილობა საკმარისია პირის იმ უფლებების აღსადგენად, რაც გასაჩივრებული ბრძანების გამოცემამდე გააჩნდა. გამომდინარე იქიდან, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან ხსენებული ვალდებულების შესრულებისათვის ვადების განუსაზღვრელობა ქმნის მომეტებულ რისკს იმისა, რომ უკანონოდ გათავისუფლებული მოხელის თანამდებობაზე აღდგენა საჯარო დაწესებულების მხრიდან მნიშვნელოვნად დაყოვნდება. აღნიშნული რისკი, ერთი მხრივ, საფრთხეს უქმნის მოხელის დარღვეული უფლებების აღდგენის ეფექტურობას, ხოლო, მეორე მხრივ, ქმნის სახელმწიფოებრივი რესურსის ზედმეტი ხარჯვის საშიშროებას, რაც დაკავშირებულია, როგორც იძულებითი განაცდურის პერიოდის მატებით მოხელის მიმართ სახელმწიფოს ეკონომიკური ტვირთის გაზრდასთან, ასევე მოხელის სასამართლოსათვის ხელმეორედ მიმართვის შემთხვევაში პროცესის ეკონომიურობის პრინციპის მნიშვნელოვან დარღვევასთან. განსახილველ დავასთან მიმართებით კი, გათავისუფლების შესახებ ბათილად ცნობილი ბრძანების გამოცემამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა გულისხმობს სამსახურიდან გათავისუფლებული მოხელის თანამდებობაზე საბოლოო/დროებით აღდგენას. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით, სასამართლოს გააჩნია უფლებამოსილება, ნაწილობრივი გადაწყვეტილების გამოტანით ბათილად ცნოს სადავო ბრძანება, ხოლო იძულებითი განაცდურისა და თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში შეაჩეროს

საქმისწარმოება და საჯარო დაწესებულებას განუსაზღვროს ვადა მისთვის „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 118-ე მუხლის მე-3 პუნქტით დაკისრებული ვალდებულების შესრულებისათვის. ნაწილობრივი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან აღნიშნული ვალდებულების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობის შემთხვევაში კი, სასამართლოს რჩება საშუალება, განაახლოს საქმის წარმოება და იძულებითი განაცდურისა და თანამდებობაზე აღდგენის ნაწილში თავად გამოიტანოს გადაწყვეტილება. საკითხის ამგვარი მოწესრიგება გამორიცხავს მოხელის უფლებათა სამომავლო შელახვის ყოველგვარ რისკს და, თავის მხრივ, ქმნის აღნიშნულ უფლებათა დაცვის ეფექტურ, ქმედით მექანიზმს, რაც, საბოლოოდ, უზრუნველყოფს მის სამართლებრივ დაცვას.¹⁰³ იმისათვის, რომ მოსამართლემ გადაწყვეტილება მიიღოს, გადაჭრას რთული შემთხვევა, მან უნდა მოუხმოს მორალურ, პოლიტიკურ სტანდარტებს, სამართლის პრინციპებსა და სტრატეგიებს. მოსამართლე არ ქმნის სამართალს, არამედ განმარტავს იმას, რაც უკვე სამართლებრივი მასალების ნაწილს წარმოადგენს. ამასთან სამართლებრივი არგუმენტი და ანალიზი „განმარტებითია“, რადგან ისინი ცდილობენ, ჩამოაყალიბონ სამართლებრივი პრაქტიკის საუკეთესო მორალური შინაარსი. ასეთი გადაწყვეტილებები ავლენს იმას, რომ წესების გარდა, სამართალი მოიცავს პრინციპებს.¹⁰⁴ სწორედ მოხელის დარღვეული უფლების ეფექტურობა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამართლებრივი დაცვისთვის. ყველა მომეტებული რისკი უნდა იქნას გათვალისწინებული და ახალი „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ყველა ძირითადი მიზანი და ამოცანა რეალურ მოლოდინებს უნდა უქმნიდეს საჯარო მოხელეს.

დუორკინის მიხედვით, „სასამართლო დავის შემთხვევაში მოსამართლე აფასებს სხვადასხვა პრინციპის მნიშვნელობას და შემდგომ სამართლებრივი

¹⁰³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინება, Nბს-234234(2კ-18)

¹⁰⁴ ხუბუა გ., სამართლის თეორია, 2015, 74

ნორმების საფუძველზე ასაბუთებს¹⁰⁵. არსებობს სამართლის პრინციპები, რომლებიც გაცილებით წინადა, ვიდრე სამართლებრივი აქტი. თუკი კანონი ეწინააღმდეგება სამართლებრივ პრინციპს, კანონი არ მოქმედებს.¹⁰⁶ გადაწყვეტილების მიღებისას ქართველმა მოსამართლემ იმსჯელა თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან კანონის მოთხოვნების დაცვა ადამიანის ძირითადი უფლებების უგულებელყოფის ხარჯზე და სწორედ მათი შეფასების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება.

4.2. ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალებასთან დაკავშირებული დავის განსჯადობა

4.2.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

2019 წლის 28 მარტს გ. ნ-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელემ მოპასუხისათვის ქმედების განხორციელების, კერძოდ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ოფიციალურ “ფეისბუქ” გვერდზე (<https://www.facebook.com/Ministry of Justice Georgia/>) მოსარჩელისათვის შეზღუდვის (ე.წ. ბლოკის) მოხსნის დავალება მოითხოვა. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2019 წლის 29 მარტის განჩინებით გ. ნ-ის სარჩელი მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო

¹⁰⁵ აფონანსი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას თ. მამულაშვილი, ლ. გიორგაძისა და ლ. გიორგაძის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017, 63.

¹⁰⁶ რადბუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, დ. გეგენავას თარგმანი, ჟურნ. „სარჩევი“, #1-2(3-4), 2012, 238-240.

კოდექსის მე-2 მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობაარარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად კი, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.¹⁰⁷

4.4.2. სასამართლოს პოზიციის ანალიზი

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. შესაბამისად, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად უნდა ეფუძნებოდეს საჯარო _ ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს და განპირობებული იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

¹⁰⁷ Nზს-568(გ-19)

, 20.

სასამართლომ განმარტა, რომ განსახილველ შემთხვევაში, მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნდა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის ძირითადი ელემენტი – დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, სადავო ურთიერთობა მატერიალური თვალსაზრისით, შემოწმებას ექვემდებარებოდა კერძო-სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით, შესაბამისად, არ არსებობდა დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის წინაპირობები. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელი, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის თანახმად, განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.¹⁰⁸ სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის აღნიშვნით, იქიდან გამომდინარე, რომ კანონი უშვებს სასამართლოებს შორის დავას განსჯადობის თაობაზე, სარჩელის მიღებაზე უარის თქმის ან მიღების ეტაპის გადალახვის შემდეგ ამავე საფუძველით სარჩელის განუხილველად დატოვების შემთხვევაში, შესაძლებელია, ჯერ მხარემ გახადოს სადავოდ განსჯადობის საკითხი განჩინების გასაჩივრებით, შემდეგ კი ამისგან დამოუკიდებლად სასამართლოებს შორის დაიწყოს დავა განსჯადობაზე. ამგვარად, სასამართლომ მიუთითა, რომ უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატის მიერ განსჯადობის საკითხზე დავის საბოლოოდ გადაწყვეტამდე, საქმის საგნობრივი განსჯადობის საკითხი ხდება არაერთგზის განხილვისა და შეფასების საგანი, რაშიც მონაწილეობს არა მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს ორი სხვადასხვა კოლეგია, არამედ სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაც. ამგვარად,

მიზანშეწონილია, ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს მსგავსად, სამოქალაქო საქმის განმხილველმა სასამართლომაც

¹⁰⁸ Nზს-568(გ-19)

, 21.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებით, საგნობრივად არაგანსჯადი საქმეები თავად გადაუგზავნოს ადმინისტრაციული საქმის განმხილველ სასამართლოს, რითაც უკეთ იქნება უზრუნველყოფილი მხარის უფლება სწრაფი და ეფექტური

მართლმსაჯულების გზით დავის გადაწყვეტაზე და ასევე თავიდან იქნება აცილებული დამატებით კიდევ ერთი სასამართლო ინსტანციის – სააპელაციო სასამართლოს მონაწილეობა განსჯადობის საკითხის გადაწყვეტაში მაშინ, როდესაც კანონით დაშვებულია სასამართლოთა შორის დავის დაწყება განსჯადობის თაობაზე და დადგენილია ამ დავის გადაწყვეტაზე უზენაესი სასამართლოს კომპეტენცია.¹⁰⁹ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა გამოიწვევდა საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებდა საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების მიღებას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპებსა და სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებს შორის არსებობდა მკვეთრი განსხვავება, კერძოდ, სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან განსხვავებით, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისათვის დამახასიათებელი ინკვიზიციურობა განაპირობებდა იმას, რომ ამ სამართალწარმოებაში, სამართალურთიერთობის „ძლიერი მხარე“ – მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო, ხშირ შემთხვევაში, ვალდებულია სრულად ზიდოს მტკიცების ტვირთი, რაც მოსარჩელეს, როგორც სამართალურთიერთობის „სუსტ“ მხარეს, უფრო კომფორტულ და მომგებიან ვითარებაში ამყოფებს. შესაბამისად, ისეთი

¹⁰⁹ Nზს-568(გ-19)

სამართალურიერობის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გადაწყვეტა, რომელიც კანონის შესაბამისად შესაძლოა ადმინისტრაციულ სამართალურიერობად იქნეს მოაზრებული, არ იქნებოდა შესაბამისობაში

სამართლიანი სასამართლოს პრინციპის დამდგენ იმ საერთაშორისო რეგულაციებთან, რომლებიც ზემოთ იქნა მითითებული.¹¹⁰ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ გ. ნ. -ს სარჩელი მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიმართ ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალების შესახებ იყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.¹¹¹ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია¹¹² კანონიერ სასამართლოზე ადამიანის უფლებას სამართლიანი სასამართლოს ძირითადი უფლების შემადგენელ ნაწილად მოიაზრებს (მე-6 მუხ.). კანონიერი სასამართლოს უფლება კი სასამართლოს განსჯადობის ზუსტ განსაზღვრას მოითხოვს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი

¹¹⁰ საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა საქმეებზე, 2010, N7, 7, იხ: საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 3 ნოემბრის #ბს1392-1329(გ-09) განჩინება.

¹¹¹ საქართველოს კონსტიტუცია, 31-ე მუხლი.

¹¹² ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომი, 04/11/1950.

ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

ამდენად, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო სტრუქტურული ქვედანაყოფის – პრესასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის საქმიანობით უზრუნველყოფს სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდებისა და სოციალურ ქსელებში სხვა ოფიციალური გვერდების, მათ შორის, ოფიციალური „ფეისბუქ“ გვერდის მეშვეობით საზოგადოების ინფორმირებას საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საქმიანობასა თუ მასთან შემხებლობაში არსებულ სხვა სიახლეებთან დაკავშირებით, აგრეთვე, საზოგადოების წინაშე სახელმწიფო ორგანოს ანგარიშვალდებულებასა და საქმიანობის გამჭვირვალობის ხელშეწყობას. ამდენად, სოციალური ქსელების ოფიციალური გვერდების მართვა წარმოადგენს საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული კანონმდებლობით განსაზღვრულ სამინისტროს საქმიანობის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს. არსებითია ისიც, რომ მოსარჩელე სადავოდ ხდის სწორედ აღნიშნული საქმიანობის ფარგლებში გარკვეული ქმედების (მისი “დაბლოკვის”) უკანონოდ განხორციელების ფაქტს, რომელმაც მოსარჩელის უფლებების შეზღუდვა განაპირობა.

ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია ადმინისტრაციული ორგანოსათვის გარკვეული ქმედების განხორციელების დავალებისაკენ, რომელიც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, განეკუთვნება ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა კატეგორიას. მოსარჩელის მითითებების გათვალისწინებით, არსებითია ისიც, რომ განსახილველ შემთხვევაში პოტენციურად სახეზეა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მხრიდან მოსარჩელის საქართველოს კონსტიტუციის მე-17

მუხლითა¹¹³ და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-10 მუხლით ¹¹⁴ გარანტირებული გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა. ამდენად, დავა თავისი არსით შეეხება ეროვნული თუ საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით მოსარჩელისათვის განმტკიცებული უფლების სახელმწიფო ორგანოების მხრიდან შეზღუდვას, რაც ზემოხსენებულ სხვა გარემოებებთან ერთობლიობაში, დავის საჯარო ხასიათს უსვამს ხაზს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.¹¹⁵ მოსამართლე კანონმდებლის ფუნქციას ვერ შეითავსებს. მოსამართლე არის სამართლის შემფარდებელი და არა კანონმდებელი. მოსამართლე ვერ შეცვლის კანონმდებლის გადაწყვეტილებას და ვერ ჩაანაცვლებს მას საკუთარი გადაწყვეტილებით. კანონმდებლობაში კორექტივების შეტანა არის კანონმდებლის და არა მოსამართლის ფუნქცია.¹²⁰ ზემოაღნიშნული სასამართლო გადაწყვეტილება „რთული შემთხვევის“ მაგალითია და სასამართლომ გადაწყვეტილება სწორედ სამართლის ძირითად პრინციპებზე დაყრდნობით მიიღო, რის გამოც იგი შეიძლება შეფასდეს ერთერთ სამართლიან გადაწყვეტილებად ქართულ სასამართლო პრაქტიკაში. უზენაესმა სასამართლომ პირველად იმსჯელა საქართველოში სოციალურ ქსელებში ოფიციალური ორგანოს მიერ გამოხატვის თავისუფლების შესაძლო შეზღუდვის შესახებ. თავისი განჩინებით მან ერთი მხრივ, დავის განხილვა ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას დაავალა, მეორე მხრივ კი მიუთითა, რომ

¹¹³ საქართველოს კონსტიტუცია, მე-17 მუხლი.

¹¹⁴ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომი, 04/11/1950, მე-10 მუხლი.

¹¹⁵ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 26-ე მუხლი, მე-3 ნაწილი. ¹²⁰ ხუბუა გ., სამართლის მეთოდები N2, რედაქ: ხუბუა.გ., გეგენავა დ., 2018, 13.

იუსტიციის სამინისტროს მიერ მოქალაქის კომენტარების წაშლა პოტენციურად ზღუდავს გამოხატვის თავისუფლებას.

მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს უშუალოდ შინაარსზე არ უმსჯელია, საქმის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისთვის ასეთი განჩინებით დაბრუნება, მნიშვნელოვანი პრეცედენტია.

4.3. მამაკაცის დეკრეტული შვებულება

დეკრეტული შვებულებით, ამ ეტაპზე, მსოფლიო მასშტაბით მრავალი კაცი სარგებლობს. თუმცა, საქართველოში კაცების მხრიდან დეკრეტული შვებულების გამოყენების ერთეული შემთხვევები ფიქსირდება, რაც არა მხოლოდ კულტურული მახასიათებლებით, ასევე საკანონმდებლო ხარვეზებითა და უფლებათა არაცნობადობითაც არის განპირობებული. მიუხედავად შვებულების უფლების მარეგულირებელ ნორმათა ნეიტრალური ფორმულირებისა, არსებობდა რიგი ხარვეზები, რაც ხელს უშლიდა მამებს ესარგებლათ დეკრეტული შვებულებით. ჩანაწერით არ არსებობს მიჯნა შვებულების ცალკეულ კომპონენტებს შორის, რომელიც ბავშვის მოვლის გამო შვებულებას გამოაცალკევებდა შვებულების საერთო სახიდან. კოდექსში საუბარია ერთიან შვებულებაზე, რომელიც ეტაპობრივად არის ურთიერთდაკავშირებული და ერთმანეთის ლოგიკურ გაგრძელებას წარმოადგენს. ორსულობა, მშობიარობა და შემდგომ ბავშვის მოვლა, როგორც შვებულების ეტაპები, კოდექსის არცერთი ნორმით არ იმიჯნება, რაც მნიშვნელოვნად ართულებს რომელიმე მათგანით დამოუკიდებლად სარგებლობას.

პრობლემა წარმოიშობა სწორედ მაშინ, როდესაც საუბარია კაცის უფლებაზე, ისარგებლოს შვებულებით ბავშვის მოვლის გამო. კოდექსი არ

გამიჯნავს და არ განსაზღვრავს მხოლოდ ბავშვის მოვლის გამო შვებულების უფლებას, ასევე მის ხანგრძლივობას.¹¹⁶

4.3.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

მნიშვნელოვანია ეროვნული საკანონმდებლო ჩარჩოს მოქმედების ფარგლების განმარტების კუთხით, საერთო სასამართლოებში არსებული პრაქტიკა მამის, მამობის შვებულების სუბიექტად, მიჩნევის საკითხთან მიმართებით. 2015 წელს თბილისის საქალაქო სასამართლომ განიხილა საქმე¹¹⁷, რომლის მიხედვითაც ბავშვის მამას - საჯარო მოხელეს - უარი ეთქვა „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ბავშვის მოვლის გამო შვებულებით სარგებლობაზე, თუმცა მას მიეცა საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს შრომის კოდექსის“ 30-ე მუხლით¹¹⁸ გათვალისწინებული დამატებითი შვებულება ბავშვის მოვლის გამო.¹²⁴ აღსანიშნავია, რომ სასამართლომ იმსჯელა საჯარო სამსახურის მომწესრიგებელ კანონმდებლობაზე, რომელიც ამ დროისთვის არ არის ძალაში და ეს საკითხები დარეგულირებულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის ახალი რედაქციით. მიუხედავად ამისა, ეს გადაწყვეტილება დღესაც აქტუალურია, იმდენად რამდენადაც ეხმიანება დღეს მოქმედ კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს. კანონში ბუნდოვნად არის გაწერილი ნორმები, რომლებიც სწორედ რომ კონფლიქტში მოდის ერთმანეთთან და მოსამართლეს აძლევს იმის საშუალებას ტელეოლოგიური განმარტების გზით მივიდეს კონტექსტუალურ დასკვნამდე და მიიღოს არამხოლოდ კანონისმიერი, არამედ სამართლიანი გადაწყვეტილება.

¹¹⁶ ქაშაკაშვილი ნ., დედობის, მამობის და მშობლის შვებულების უფლება თანასწორობის შუქზე, თბ. 2017, 36.

¹¹⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 თებერვლის #3/4193-14 გადაწყვეტილება, 1-3.

¹¹⁸ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“, 30-ე მუხლი.¹²⁴ გოგოლაძე ხ., დეკრეტული შვებულების საკანონმდებლო რეგულირების შესაბამისობა ევროდირექტივასთან და სამართლებრივი დაახლოების პერსპექტივა, თბილისი, 2019, 32.

მოპასუხის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტს საჯარო მოხელისათვის, მამისათვის, ბავშვის მოვლის გამო შვებულების მიცემაზე უართან დაკავშირებით წარმოადგენდა ის გარემოება, რომ კანონი არ მიჯნავდა ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო შვებულებების ხანგრძლივობებს, შესაბამისად, მოპასუხე განმარტავდა, რომ „მამისათვის ბავშვის მოვლის გამო შვებულების მიცემას კანონი არ ითვალისწინებს“, ¹¹⁹ რადგან ორსულობა და მშობიარობასთან ერთმნიშვნელოვნად მიმატებული ჩანაწერის გაგრძელება - „ბავშვის მოვლის გამო“ შესაძლებელია აღიქმებოდეს ორსულობის და მშობიარობის თანმდევ მოვლენად, რაც მხოლოდ მდებარეობითი სქესის წარმომადგენლის როლია.

4.3.2. სასამართლოს გადაწყვეტილების სამართლებრივი ანალიზი
სასამართლომ კანონის ამგვარი წაკითხვა არ გაიზიარა და მიუთითა, რომ ნორმის განმარტება და შესაბამისად, მისი გამოყენება უნდა მოხდეს საერთაშორისო სტანდარტების და საქართველოს კანონმდებლობის სხვა დებულებების დაცვით.¹²⁰ თბილისის საქალაქო სასამართლომ ასევე გაიზიარა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტება, რომლის მიხედვითაც ბავშვის მოვლის შვებულების შემთხვევაში, ბავშვზე ზრუნვის თვალსაზრისით ქალები და კაცები თანაბარ მდგომარეობაში არიან.¹²⁷ შეუძლებელია კანონი დაიწეროს ისე, რომ პასუხი ყველა კითხვას გაეცეს. კანონმდებელს არ შეუძლია წინასწარ შედგენილი პოზიტიური სამართლით, ზედმიწევნით მოაწესრიგოს ყველანაირი ურთიერთობა, წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი შედეგები და რისკები, რაც თან სდევს

¹¹⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 თებერვლის #3/4193-14 გადაწყვეტილება, 10.

¹²⁰ იქვე, 10-11. ¹²⁷

იქვე, 11.

ადამიანთა, ადამიანსა და სახელმწიფოს და სახელმწიფო ორგანოებს შორის ურთიერთობას. შესაბამისად, კანონები ხშირ შემთხვევაში ხარვეზიანია და ხარვეზების აღმოფხვრას საჭიროებს. საქმეების გადაწყვეტისას სამართალში არსებული ხარვეზების დაძლევა ხშირად ხდება კანონის ან სამართლის ანალოგიის გამოყენების

გზით.¹²¹ ¹²² სასამართლომ არ გაიზიარა, რადგან საქართველოს საჯარო სამსახურებში დაწესებულების ხელმძღვანელსა და საჯარო მოსამსახურეს შორის ურთიერთობათა ფორმები მკაცრად რეგლამენტირებულ საკანონმდებლო ჩარჩოში უნდა მოექცეს, კეთილსინდისიერი ადმინისტრირების სტანდარტიდან გამომდინარეობდეს და შეესაბამებოდეს მას. საჯარო სამსახურის ხელმძღვანელის მიერ საჯარო მოსამსახურის მიმართ მიღებული გადაწყვეტილებები, არა მხოლოდ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე უნდა გამოიცეს, არამედ ეფუძნებოდეს საერთაშორისო სტანდარტს და უნდა ითვალისწინებდეს საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებით განსაზღვრულ სამართლებრივ ინსტიტუტებს და სტანდარტებს. ადმინისტრაციულმა ორგანომ გადაწყვეტილება კანონის მხოლოდ სიტყვასიტყვითი განმარტებაზე არ უნდა დააფუძნოს და მისი უფლებამოსილების ფარგლებში ჩატარებული ადმინისტრაციული წარმოების საფუძველზე მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება.¹²³ სასამართლომ გაითვალისწინა ის განსხვავებები, რაც არსებობს დედის

და მამის ურთიერთობაში ბავშვთან, მაგრამ მაინც მიიჩნევს, რომ იმ პერიოდის განმავლობაში, რასაც მოიცავს ბავშვის მოვლის შევსება, ბავშვზე ზრუნვის როლის თვალსაზრისით ქალები და კაცები თანაბარ მდგომარეობაში არიან. თანამედროვე ევროპული საზოგადოება აღიარებს პასუხისმგებლობების

¹²¹ გუნთაიშვილი მ., ბუჩიაშვილი მ., რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში, ტომი I, ¹²², 72.

¹²³ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე #38/436-16.

თანაბრად გადანაწილებას ქალსა და მამაკაცს შორის და ბავშვის აღზრდაში კაცის მნიშვნელოვან როლზე მიუთითებს.

სხვადასხვა ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში მამებისათვის ანაზღაურებადი შვებულება ერთ-ერთი ახალი განვითარებაა და მიმდინარეობს დედობის შვებულების პარალელურად.¹²⁴ ქვეყნების ნაწილი მამობის შვებულებას დამოუკიდებელი სახით არ ითვალისწინებს და მშობლის შვებულებაში ექსკლუზიურად მამისათვის ითვალისწინებს გარკვეულ პერიოდს.¹²⁵ აღნიშნულ საქმეზე 2016 წელს ასევე იმსჯელა თბილისის სააპელაციო სასამართლომ, რომელმაც გაიზიარა და ძალაში დატოვა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამართლებრივი შეფასება ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით შვებულების გაცემის მიზნისა და რაციონალის თაობაზე.¹²⁶ სასამართლომ განმარტა, რომ კანონის მხოლოდ სიტყვასიტყვითი (გრამატიკული) მნიშვნელობით ვიწრო გაგების პრინციპზე დიდი ხანია უარი თქვა იურისპრუდენციამ. იმ შემთხვევაში, როდესაც ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტება წინააღმდეგობაშია კანონის მიზანთან, სასამართლომ ნორმაშეფარდების პროცესში უნდა გადაწყვიტოს, ხომ არ წარმოიშობა აღნიშნული ნორმის სხვა ხერხებით განმარტების აუცილებლობა და მათ შორის, ხომ არ უნდა იმოქმედოს კანონის ობიექტური მიზნიდან გამომდინარე, სამართლით, რომელიც გამომდინარეობს არსებული კონსტიტუციური მართლწესრიგიდან, ამავე მართლწესრიგის ფარგლებში და უზრუნველყოფს კონკრეტული ურთიერთობის სამართლიან გადაწყვეტას.

¹²⁴ OECD-ს წევრ ქვეყნებს შორის 1970-იანი წლებისათვის მხოლოდ სამი ქვეყანა ითვალისწინებდა მამობის გამო შვებულებას: ესპანეთი - 1 დღე, ლუქსემბურგი - 2 დღე, ბელგია - 3 დღე. ამ პერიოდიდან 1990 წლამდე დამატებით მხოლოდ ორმა ქვეყანამ დანიამ და შვედეთმა გაითვალისწინეს ამ სახის შვებულება.

¹²⁵ Trends in Parental Leave Policies since 1970, OECD - Social Policy Division, 2017, ხელმისაწვდომია:

https://www.oecd.org/els/family/PF2_5_Trends_in_leave_entitlements_around_childbirth.pdf, [22.07.2020].

¹²⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე #38/436-16, 13.

სასამართლომ მიიჩნია, რომ სადავო ნორმის სიტყვასიტყვითი განმარტება ეწინააღმდეგება კანონის მიზანს და ვერ უზრუნველყოფს ამ თვალსაზრისით სწორი სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. კონკრეტულ შემთხვევაში, კანონმდებლის მიერ სადავო ნორმის შემოღების ობიექტური მიზანია მრავალშვილიანი ოჯახების სახელმწიფოებრივი სტიმულირება და ამით, შესაბამისად, ერის დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ხელშეწყობა, სოციალური დაცვის მექანიზმის გაძლიერება.¹²⁷ ¹²⁸ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ამასთან დაკავშირებით განმარტა¹³⁴, რომ გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა არის დღესდღეობით უდიდესი მიზანი ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში¹²⁹ და ძალიან წონიანი მიზეზების მოყვანაა საჭირო იმისათვის, რომ ამ საკითხზე განსხვავებული მოპყრობა კონვენციის შესაბამისად ჩაითვალოს.¹³⁰ განხილული საქმე „რთული შემთხვევა“, რადგან არ არსებობს ნორმა, რომლითაც მოსამართლე იხელმძღვანელებს, ან ნორმა ბუნდოვანია და საჭიროებს განმარტებას. სწორედ რომ ნორმის სწორი განმარტებით სასამართლომ უნდა მიაკვლიოს გამოსავალს. ¹³¹ აღნიშნული განმარტებებით ცალსახაა სასამართლოს დამოკიდებულება ამ საკითხთან მიმართებით, რეკომენდაციის სახით შესაძლოა ითქვას, იმისათვის, რომ მომავალში მარტივად აღქმადი და გასაგები იყოს ნორმის მიზანი და შინაარსი ყველასთვის უმჯობესია ამ ხარვეზების საკანონმდებლო დონეზე გამოსწორება. სწორედ რომ კონტექსტუალური კრილიდან გამოვიდა მოსამართლე და მიუხედავად კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებისა, მიღებული გადაწყვეტილებით

¹²⁷ იქვე, 14.

¹²⁸ ECJ, Judgement of 22 February 1994, *Burghartz v. Switzerland*, Case No. 16213/90,

¹²⁹ ECJ, Judgement of 24 June 1993, *Schuler-Zgraggen v. Switzerland*, Case No. 14518/89

¹³⁰ თოდრია თ., საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, თბილისი, 2017, 13.

¹³¹ გუნთაიშვილი მ., ბეჟიაშვილი მ., რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში, ტომი I, 2018, 72-73.

ნათელი გახადა ის საჭიროება და რეალური მოქმედების გავრცელების მიზნობრიობა, რაც ჩანაწერის ბუნდოვანებამ გამოიწვია.

4.4. უფლება წარმოშობის შესახებ ინფორმაციაზე

4.4.1. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2016 წლის 10 მაისს წარედგინა ლ. ტ. - ს წარმომადგენლის გ. ტ. - ს წერილი, რომლითაც მოთხოვნილი იქნა ლ. ტ. - ს დაბადების სააქტო ჩანაწერის ასლი და მოქალაქე ლ. ტ. - ს დაბადების სააქტო ჩანაწერიდან კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული ამონაწერი. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ სახელმწიფო სერვისების

განვითარების სააგენტოს მიერ 2016 წლის 25 მაისს ლ. ტ. - ს წარმომადგენელს გ.

ტ. - ს (2016 წლის 10 მაისის წერილის პასუხად) ეცნობა, რომ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სამოქალაქო აქტის ჩანაწერის ასლი, გარდა დაბადებისა და შვილად აყვანის სამოქალაქო აქტების ჩანაწერების ასლებისა, გაიცემა პერსონალური მონაცემის მიღების უფლებამოსილების მქონე პირის მოთხოვნის საფუძველზე.

„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის N18 ბრძანების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დაბადების ან შვილად აყვანის სამოქალაქო აქტების ჩანაწერების ასლი გაიცემა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მოთხოვნით, საგამომიებო ორგანოს დადგენილების ან სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე.

ზემოაღნიშნული ნორმების გათვალისწინებით, სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ უარი განაცხადა ლ. ტ. - ს დაბადების

აქტის ჩანაწერის ასლის მიწოდებაზე. ასევე, ამავე წერილით მოსარჩელეს ეცნობა, რომ დაბადების აქტის ჩანაწერი N250 რეგისტრირებულია 1960 წლის 2 მარტს თბილისი დიდუბის რაიონის მმაჩის განყოფილების მიერ, შემდეგი მონაცემებით: ბავშვი - ლ. ტ., დაბადების თარიღი - 02.02.1960 წელი, მამა - ს., დედა - კ. ტ.¹³²

4.4.2. სასამართლოს პოზიციის ანალიზი

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას.¹³³ ასევე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს - მოპასუხე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსათვის ქმედების განხორციელების დავალება, კერძოდ, კანონით დადგენილი წესის შესაბამისად, სხვა პირის პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფით ლ. ტ. - ს დაბადების სააქტო ჩანაწერის ფოტოასლის გაცემა.

¹³² თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება.

¹³³ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, 24-ე მუხლი, 1-ლი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

სასამართლომ

განმარტა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზანია ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, საჯარო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის დაცვა, რომელიც, კოდექსის შესაბამისად, განცხადების ან ადმინისტრაციული საჩივრის გზით ხორციელდება. განცხადება ან ადმინისტრაციული საჩივარი დაინტერესებული მხარისათვის კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების რეალიზაციის ერთ-ერთი რეალური ბერკეტია. განცხადების მიზანს უფლების მოპოვება წარმოადგენს. ხსენებული ადამიანის უფლებათა რეალიზაციის უმნიშვნელოვანესი ელემენტია. აღსანიშნავია ისიც, რომ საქართველოს ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილია კანონის წინაშე თანასწორობის პრინციპი, რაც გულისხმობს იმას, რომ დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე, რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ყურადსაღებია ის მეტად მნიშვნელოვანი მოვალეობა, რომელიც აკისრია ადმინისტრაციულ ორგანოს, როგორც ადმინისტრაციულ - სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტს. იგი მდგომარეობს იმაში, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს ეკრძალება კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ რაიმე ქმედების განხორციელება. აღნიშნული პრინციპი არის სწორედ ის რეალური გარანტია, რომელიც ადამიანის უფლების ჯეროვან დაცვას უზრუნველყოფს, რადგან კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით განხორციელებულ მოქმედებას იურიდიული ძალა არა აქვს, ხოლო მოქმედების განხორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს/თანამდებობის პირის მიმართ გამოყენებული უნდა იყოს შესაბამისი პასუხისმგებლობის ზომები.

სასამართლომ

აღნიშნა, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიზანია, პერსონალური მონაცემის დამუშავებისას უზრუნველყოს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათ შორის, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვა.

სასამართლოს განმარტებით პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით თანხმობა არის – მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე ზეპირად, სატელეკომუნიკაციო ან სხვა შესაბამისი საშუალებით გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა, რომლითაც შესაძლებელია ნათლად დადგინდეს მონაცემთა სუბიექტის ნება, ხოლო მონაცემთა სუბიექტის წერილობითი თანხმობა არის – მონაცემთა სუბიექტის მიერ შესაბამისი ინფორმაციის მიღების შემდეგ მის შესახებ მონაცემთა განსაზღვრული მიზნით დამუშავებაზე გამოხატული ნებაყოფლობითი თანხმობა რომელსაც მონაცემთა სუბიექტმა ხელი მოაწერა ან სხვაგვარად აღნიშნა წერილობით ან მასთან გათანაბრებული ფორმით.¹³⁴ მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს უარი, ლ. ტ. - ს დაბადების აქტის ჩანაწერის ასლის გაცემაზე, არ არის გამართლებული მხარის ინტერესებიდან გამომდინარე. ადმინისტრაციული ორგანოს ნებისმიერი ქმედება უნდა ემსახურებოდეს პირთა უფლებების რეალიზაციასა და ხელშეწყობას, კანონით მინიჭებული უფლე ბამოსილების განხორციელებას. ადმინისტრაციულ - სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილის ინტერესის შეზღუდვა შეიძლება გამართლებული იყოს იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის მიზანი აღემატება კონკრეტული პირის ინდივიდუალურ ინტერესს. მოცემულ შემთხვევაში, სსიპ სახელმწიფო

¹³⁴ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი..

სასამართლომ

სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ არამართლზომიერად განხორციელდა მოსარჩელე მხარის ინტერესების შეზღუდვა.

აღნიშნა, ყოველივე აღნიშნული ცხადყოფს, რომ არსებობს მოპასუხე მხარისთვის ქმედების განხორციელების დავალების საფუძველი. კერძოდ, მოპასუხემ უნდა გასცეს ლ. ტ. - ს დაბადების აქტის ჩანაწერის ასლი.¹³⁵ არსებობს სამართლის პრინციპები, რომლებიც თავისი შინაარსით აღემატება სამართლებრივ აქტებს. სწორედ აღნიშნული პრინციპიდან გამომდინარეობს მოსამართლის პოზიცია, მან კანონზე მაღლა დააყენა ინტერესი და უფლება, რომელსაც მოქალაქეს სხვა სამართლებრივი აქტები ანიჭებენ და მიიღო მსგავსი გადაწყვეტილება.

როგორც უკვე აღინიშნა, გადაწყვეტილების სამართლის ფილოსოფიის ჭრილში განხილვამ მიგვიყვანა რადბრუხისა და დვორკინის იდეებთან. შესაბამისად აღნიშნულ გადაწყვეტილებაში მოსამართლე გვევლინება არა ჩვეულ ამპლუაში, არამედ დვორკინისეულ “მოსამართლე ჰერკულესად”¹³⁶, რა დროსაც მას შეუძლია გასცდეს კონკრეტულ სამართლებრივ აქტებს და სხვა გადაწყვეტილება მიიღოს. გადაწყვეტილება, რომელიც დაფუძნებული იქნება იმ ფილოსოფიაზე, რომელსაც ხსენებული “მოსამართლე ჰერკულესი” მიეკუთვნება.¹³⁷ მიუხედავად იმისა, რომ ადმინისტრაციულმა ორგანომ სამართლებრივი აქტებით: „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს

¹³⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება.

¹³⁶ უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხადას თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012, 56- 67.

¹³⁷ იქვე, 56-67.

სასამართლომ
კანონის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტისა ¹³⁸ და „სამოქალაქო აქტების
რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის
მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის #18 ბრძანების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის
შესაბამისად¹⁴⁵ უარი ეთქვა განმცხადებელს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე,
რაც სასამართლომ არ მიიჩნია

¹³⁸ „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი, მე-7 მუხლი, მე-4 პუნქტი. ¹⁴⁵
„სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს
იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის #18 ბრძანება, მე-13 მუხლი, მე-2 პუნქტი.

მართლზომიერად და თავისი გადაწყვეტილებით დაავალა ადმინისტრაციული ორგანო ქმედების განხორციელებაში.

რაც შეეხება უფლებას წარმოშობის შესახებ ინფორმაციის ცოდნასთან დაკავშირებით, აღნიშნული ინფორმაციის ცოდნა ნებისმიერ პირს აქვს, გარდა კანონით მკაცრად გაწერილი გამონაკლისებისა, თუმცა გააჩნია იმას, თუ როგორ განმარტავს კანონს სასამართლო.

აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციულ უფლებამოსილებაზე. დისკრეცია, შეიძლება ითქვას, რომ შინაგანი რწმენის საფუძველზე, ქმნის მეტად ფართო ასპარეზს. მაგრამ, რა თქმა უნდა, კანონმდებლის მიერ ადმინისტრაციული ორგანოსათვის ამ ასპარეზის მინიჭება არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია სრულიად თავისუფლად, მხოლოდ საკუთარი შეხედულების მიხედვით იმოქმედოს. დისკრეციული უფლებამოსილება არ იძლევა უფლებაში ჩარევის ფორმისა და მოცულობის საკუთარი შინაგანი რწმენით განსაზღვრის უფლებას, არამედ ანიჭებს ადმინისტრაციულ ორგანოს გადაწყვეტილების მიღების კომპეტენციას, განახორციელოს თუ არა კანონით ცალსახად მოწესრიგებული ჩარევის შესაძლებლობა. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპის მოთხოვნების მიხედვით, ადმინისტრაციულ ორგანოს მხოლოდ მაშინ აქვს სამართლებრივ სფეროში ჩარევის უფლება, როდესაც მას კანონი ანიჭებს ასეთ უფლებამოსილებას. ამასთან, აღნიშნული უფლებამოსილება საკმარისად განსაზღვრული და შეზღუდული უნდა იყოს მისი შინაარსის, საგნის, მიზნისა და მოცულობის მიხედვით, რათა ცალკეული პირის უფლებაში ადმინისტრაციული ორგანოს ჩარევისას პირს გარკვეულ დონეზე შეეძლოს მისი განჭვრეტა და გათვლა. ხოლო, როდესაც კანონმდებელი ადმინისტრაციული ორგანოს ჩარევის უფლებამოსილებას აყალიბებს „შესაძლებლობის“ სახით, ამით იგი ადმინისტრაციულ ორგანოს აძლევს საშუალებას, რომლის დახმარებითაც ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია

თავისი მიზნების რეალიზება. მაგრამ, ამასთან, კანონმდებელი ზღუდავს ჩარევის შემთხვევებს და მიუთითებს, კანონმდებლობის ფარგლებში, ადმინისტრაციული ორგანოს შინაგან რწმენაზე დამყარებულ მოქმედებაზე.¹³⁹

მოცემულ შემთხვევაში სამართლიანი სასამართლოს როლი განუზომლად დიდია, რადგან სასამართლო არის არა მხოლოდ კანონშემფარდებელი, არამედ კანონშემოქმედი, სამართლის დამდგენი. სასამართლომ ზოგად პრინციპებზე, შინაგან რწმენაზე დაყრდნობით, მორალური კატეგორიების გათვალისწინებით ჩამოაყალიბა სწორი, სამართლებრივი, მიზანმიმართული სასამართლო პრაქტიკა. ზემოაღნიშნული „რთული შემთხვევის“ განხილვისას მოსამართლე აღმოჩნდა რთული დილემის წინაშე. არ არსებობს ამ კონკრეტული შემთხვევის მარეგულირებელი ნორმა და სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო სამართლის ძირითადი პრინციპებზე დაყრდნობით. უფრო კონკრეტულად სამართლიანი სასამართლოს პრინციპი გახდა საფუძველი მოსამართლის გადაწყვეტილების დასაბუთების. სწორედაც, რომ სამართლის პრინციპების მბოჭავმა ძალამ უზრუნველყო მოსამართლის მიერ ამგვარი დასაბუთებული და ჩემის აზრით სამართლიანი გადაწყვეტილების მიღება. მოსამართლე მის გადაწყვეტილებაში ეხება ასევე მორალურ საფუძვლებსაც ¹⁴⁰ რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა გადაწყვეტილების, როგორც სამართლიანად დასაბუთებაში.

V დასკვნა

კვლევის შედეგად, შესაძლოა ითქვას საქართველოს საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა აჩვენა, რომ ადმინისტრაციულ

¹³⁹ ტურავა პ., ხარშილაძე ი., სალხინაშვილი მ., ყალიჩავა კ., ცხადაძე ქ., კილასონია ნ., ცუხიშვილი ნ., გიორგიშვილი ნ., ჯორბენაძე ს., დეპე ი., ადმინისტრაციული სამართალი, მ. კოპალეიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 11.

¹⁴⁰ აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, 77.

სამართალწარმოებაში ტელეოლოგიური სტანდარტის გამოყენება სხვადასხვა აქტუალურ ასპექტებს მოიცავს, სწორედ რომ მოსამართლის, როგორც ინკვიზიციური უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტის როლია უმნიშვნელოვანესი და მისი, მონაწილეობა ადმინისტრაციული სამართალწარმოების პროცესში საკმაოდ საინტერესო და მრავალმხრივი შეფასება-შესწავლის საგანს წარმოადგენს.

სამოსამართლო სამართალგანვრცობამ მოგვიანებით კანონის ფორმა უნდა შეიძინოს (სამოსამართლო სამართლის კოდიფიკაცია), სწორედ ეს გაზრდის გამჭვირვალობასა და სამართლებრივ უსაფრთხოებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დასკვნის სახით შეიძლება ჩამოვაყალიბოთ რეკომენდაციები, რომლებიც პრობლემათა ანალიზის შედეგად გამოიკვეთა. ქმედების სხვადასხვა საკანონმდებლო შემადგენლობები ერთმანეთთან მიმართებაში ხშირად იმყოფებიან არა როგორც ვიწრო და ფართო ცნებები, არამედ როგორც გადამკვეთი წრეები. კონკურენციის ეს პრობლემატიკა ამოიხსნება არა ლოგიკური სპეციალურობის საფუძველზე, არამედ ხშირად მხოლოდ ტელეოლოგიური არგუმენტების დახმარებით. ასევე, ადმინისტრაციულ ორგანოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-

სამართლებრივი აქტის წერილობით დასაბუთების მნიშვნელობის გაზრდის მიზნით, სასურველია კანონმდებლობით გაძლიერდეს ადმინისტრაციულ ნორმაშემოქმედებაზე სასამართლო კონტროლი, რა მიზნითაც, მათ შორის, სასამართლოებს უნდა წარმოეშვათ საკანონმდებლო ვალდებულება, რომ ისინი შესაბამისი პროცედურის განხორციელებისას დაეყრდნონ ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის წერილობით დასაბუთებას. მნიშვნელოვან პრობლემად რჩება ადმინისტრაციულ ორგანოს მხრიდან დისკრეციული უფლებამოსილების გადაჭარბების შემთხვევები,

დისკრეციული უფლებამოსილების გადაჭარბების ან არამიზნობრივი გამოყენების გამოვლენა დაუშვებელია, ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეცია არ ნიშნავს თანასწორობის ან კანონიერების პრინციპის უგულბელებადობას, დისკრეციული უფლებამოსილება სამართლებრივად შებოჭილი თავისუფლებაა. დისკრეციული უფლებამოსილების ცნებისათვის იმანენტურია მისი სამართლებრივი ბოჭვა, რასაც ადმინისტრაციული ორგანო, ხშირ შემთხვევაში ვერ აბალანსებს.

რეკომენდაციის სახით შესაძლოა ითქვას, რომ სასურველია საკონონმდებლო დონეზე მოწესრიგდეს დავის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, რომელზეც დეტალურად საუბარია ნაშრომში, კერძოდ „4.2.“ ქვეთავში. ადმინისტრაციული საქმის განმხილველი სასამართლოს მსგავსად, სამოქალაქო საქმის განმხილველმა სასამართლომაც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის გამოყენებით, საგნობრივად არაგანსჯადი საქმეები შესაძლოა თავად გადაუგზავნოს ადმინისტრაციული საქმის განმხილველ სასამართლოს, რითაც უკეთ იქნება უზრუნველყოფილი მხარის უფლება სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების გზით დავის გადაწყვეტაზე და ასევე თავიდან იქნება აცილებული დამატებით კიდევ ერთი სასამართლო ინსტანციის – სააპელაციო სასამართლოს მონაწილეობა განსჯადობის საკითხის გადაწყვეტაში მაშინ, როდესაც კანონით დაშვებულია სასამართლოთა შორის დავის დაწყება განსჯადობის თაობაზე და დადგენილია ამ დავის გადაწყვეტაზე უზენაესი სასამართლოს კომპეტენცია.

კვლევისას ასევე დადგინდა და გამოიკვეთა, რომ სასამართლო მართლმსაჯულების წარმომადგენლებს ტელეოლოგიური განმარტებით შეუძლიათ იმის გარკვევა, თუ რომელი ჰიპოთეზა შეესაბამება კანონის მიზანს ყველაზე მეტად. ორივე შემთხვევაში, ტელეოლოგიური განმარტება იმ არასამართლებრივ შედეგებს ეძიებს, რომლებიც უნდა დადგეს ანდა თავიდან

იქნას აცილებული სხავდასხვა სახის გართულებები. ეს ნორმატიული საკითხია. როცა ეს სასურველი ან არასასურველი შედეგები დასახელდება, მეორე საფეხურზე უნდა დადგინდეს, თუ რა პირობებზეა დამოკიდებული ამ შედეგების დადგომა ან თავიდან აცილება. სწორედ ასეთი არსებითად ემპირიული ამოცანების ამოხსნა და კანონთან შესაბამისობაში მოყვანა უნდა გახდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოებისას დიდი მნიშვნელობის მატარებელი და კანონშემფასებელმა თავად უნდა შეძლოს კონტექსტუალური გადაწყვეტილებების მიღება და შემდგომში საუკეთესო პრაქტიკის განვითარება. ბიბლიოგრაფია სამეცნიერო ლიტერატურა

1. ადეიშვილი ზ., ვარდიაშვილი ქ., იზორია ლ., კალანდაძე ნ., კოპალეიშვილი მ., სხირტლაძე ნ., ტურავა პ., ქიტოშვილი დ., ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2005
2. ალფაიძე. თ, შესავალი სამართალმცოდნეობაში, თბილისი, 2011
3. აფონასინი ე., დიდიკინი ა., სამართლის ფილოსოფია, თ. სეხნიაშვილის, თ. ზარქუას, თ. მამულაშვილის, ლ. გიორგაძისა და ლ. გიორგაძის თარგმანი, დ. გეგენავას რედაქტორობით, თბილისი, 2017
4. გეგენავა. დ., თანამედროვე სამართლის მიმოხილვა, N1, თბილისი, 2013.
5. გოგიაშვილი. გ., სამოსამართლო სამართალი, თბილისი, 2014
6. გოგობერიძე. გ, სამართლის ჟურნალი, N2, თბილისი, 2011
7. გოგოლაძე. ხ., დეკრეტული შვებულების საკანონმდებლო რეგულირების შესაბამისობა ევროდირექტივასთან და სამართლებრივი დაახლოების პერსპექტივა, თბილისი, 2019
8. გუნთაიშვილი. მ., ბეჟიაშვილი. მ., რთული შემთხვევები სასამართლო პრაქტიკაში, ტომი I, 2018
9. ზოიძე, ბ., სამართლის ჟურნალი N2, თბილისი, 2011
10. თოდრია. თ., საქართველოს შრომის სამართალი და საერთაშორისო შრომის სტანდარტები, თბილისი, 2017
11. თოთლაძე ლ., გაბრიჩიძე გ., თუმანიშვილი გ., ტურავა პ., ჩაჩანიძე ე., განმარტებითი იურიდიული ლექსიკონი, თბილისი, 2012

12. თორაძე. დ, საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას დამდგარი პასუხისმგებლობა სხვა პირთა მიმართ, თბილისი, 2019
13. ინწკირველი გ., სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, თბილისი, 1993
14. კობრეიძე. ლ, მართლმსაჯულება და კანონი, N2(41), რედ: ბიძიგური. ნ, თბილისი, 10
15. კოპალეიშვილი. მ., სხირტლაძე. ნ., ქარდავა. ე., ტურავა. პ., (რედ.), ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის სახელმძღვანელო, თბილისი, 2008
16. მუდჰორსტი. ო, სამართალცოდნეობის საფუძვლები, თარგ: მაისურაძე. დ, თბილისი, 2019
17. რადბუხი გ., სამართლის ფილოსოფიის ხუთი წუთი, დ. გეგენავას თარგმანი, ჟურნალი „სარჩევი“, N1-2(3-4), 2012
18. სავანელი ბ. , სამართლის თეორია, თბილისი, 1997
19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა საქმეებზე, 2010, N7
20. ტურავა პ., ადამიანის უფლებათა დაცვა: კანონმდებლობა და პრაქტიკა, სტატიათა კრებული, კ. კორკელიას რედაქტორობით, თბილისი, 2018
21. ტურავა. პ., ხარშილაძე. ი., სალხინაშვილი.მ., ყალიჩავა. კ., ცხადაძე. ქ., კილასონია. ნ., ცუხიშვილი. ნ., გიორგიშვილი. ნ., ჯორბენაძე. ს., დეპე. ი., ადმინისტრაციული სამართალი, მ. კოპალეიშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2016, 11.
22. უექსი რ., სამართლის ფილოსოფია, ძალიან მოკლე შესავალი, მ. ბაბუხაძიას თარგმანი, ი. ბაჩიაშვილის რედაქტორობით, თბილისი, 2012
23. ქაშაკაშვილი ნ., დედობის, მამობის და მშობლის შვებულების უფლება თანასწორობის შუქზე, თბ. 2017
24. ღვამიჩავა თ, საკასაციო საჩივრის დასაშვებობა ადმინისტრაციულ პროცესში, თბილისი, 2017
25. ყურაშვილი. კ., საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას დამდგარი პასუხისმგებლობა სხვა პირთა მიმართ საქართველოს და გერმანიის ადმინისტრაციული სამართლის მაგალითებზე, თბილისი, 2019
26. ციპელიუსი. რ., იურიდიული მეთოდების მოძღვრება, მეათე გადამუშავებული გამოცემა, ბეკის გამომცემლობა, მიუნხენი, 2006

27. ცხადაძე. ქ, ადმინისტრაციული სამართალი, რედ: კოპალეიშვილი. მ, თბილისი, 2016,
28. ჭაბაშვილი მ., უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი, 1989
29. ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000
30. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბილისი, 2004
31. ხუბუა. გ., სამართლის მეთოდები N2, რედაქ: ხუბუა.გ., გეგენავა დ., 2018
32. ხუბუა გ., სამართლის თეორია, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2015
33. ჯორბენაძე. ო., სამოსამართლო სამართლის პრობლემები, თბილისი, 2007
34. Avila H., Certainty in Law, Switzerland, 2016
35. Balla S.J., Between Commenting and Negotiation: The Contours of Public Participation in Agency Rulemaking, “I/S: A Journal of Law and Policy for the Information Society”, Vol.1, 2004/2005
36. Barak. A., PURPOSIVE INTERPRETATION IN LAW, USA, 2005, 340.
37. Cooper J.P., Public Law and Public Administration, 4th ed., Wadsworth Publishing, 2006
38. Croley S., Making Rules: An Introduction, How Government Agencies Write Law and Make Policy by Cornelius M. Kerwin, “Michigan Law Review”, Vol. 93, 1995
39. Friauf. K.H., Techniques for the Interpretation of Constitutions in German Law, 1968,
40. Furlong S.R., Kerwin M.C., Interest Group Participation in Rule Making: A Decade of Change, Economics of Administrative Law, edited by Rose-Ackerman S., An Elgar Reference Collection, Chentelham, UK, Northhampton, MA, USA, 2007
41. Harašić. Ž., MORE ABOUT TELEOLOGICAL ARGUMENTATION IN LAW, UDK 340.132.6 Received: 19th April 2015
42. Hall D.E., Administrative Law Bureaucracy in a Democracy, 2nd ed., Prentice Hall, Upper Saddle River, New Jersey, 2003
43. Jackson. D., Adversarial and Inquisitorial Systems Medico-Legal Society of NSW Inc Scientific Meeting, March 2009
44. Jemielniak. J., Miłkaszewicz. P., Interpretation of Law in the Global World: From Particularism to a Universal Approach, Berlin, Heidelberg, 2010

45. Kintseh. W. and Teun A. van Dijk, Toward a Model of Text Comprehension and Production, N 5, 1978
46. King A., Modes of Executive-Legislative Relations: Great Britain, France, and West Germany, Legislative Studies Quarterly, No.1, February 1976
47. Mitchell. C., Interpretation of Contracts, UK, 2007
48. Punder H., Democratic Legitimation of Delegated Legislation-A Comparative View on the American, British and German Law, Cambridge Journals, "International Comparative Law Quarterly", Vol. 58(2), 2009
49. Raitio J., The Principle of Legal Certainty in EC Law, Springer, 2003
50. Stanley Fish, „Intention is All There Is: A Critical Analysis of Aharon Barak’s Purposive Interpretation in Law“, 2008
51. Schonberg S. J., Legal Certainty and Revocation of Administrative Decisions: A Comparative Study of English, French, and EC Law, Yearbook of European Law, Vol.19, No.1, 1999
52. Trends in Parental Leave Policies since 1970, OECD - Social Policy Division, 2017
53. Wagner., A. Interpretation, Law and the Construction of Meaning, 2007
54. Zeidler. K., Restitution of Cultural Property, Warsaw, 2016
55. Аэдама А., Ломан Э., Паррэст Н., Пилвинг И., Вэне Э., Руководство по административному производству, Тарту, 2005
56. Барак А., Судейское усмотрение, М., 1999
57. Бровко Н.В., Смоленский М.Б., Соколова Ю.А., Административное право, М., 2003
58. Овсянко Д.М., Попов Л.Л., Административное право, М., 2002
59. Тихомиров Ю.А., Административное право и процесс: полный курс, М., 2001
60. Тихомиров Ю.А., Публичное право, Издательство БЕК, М., 1995

სამართლებრივი აქტები

61. საქართველოს კონსტიტუცია,
62. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი
63. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი

- 64. „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონი
- 65. „სამოქალაქო აქტების შესახებ“ საქართველოს კანონი
- 66. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი
- 67. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“,
- 68. „სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2012 წლის 31 იანვრის #18 ბრძანება
- 69. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია, რომი, 04/11/1950

სასამართლო გადაწყვეტილებები

- 70. საქართველოს მოქალაქე გიორგი უგულავა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, №3/1/574, 23 მაისი, 2014
- 71. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 29 ოქტომბრის განმარტება საქმეზე Nბს-180-177(კ-15)
- 72. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2015 წლის 21 მაისის განმარტება საქმეზე #ბს-755-741(კკს-14)
- 73. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება, N N3/7/679, შპს სამაუწყებლო კომპანია “რუსთავი 2“ და „შპს ტელეკომპანია საქართველო“ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 29 დეკ, 2017
- 74. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2018 წლის 27 სექტემბრის განჩინებ, Nბს-234-234(2კ-18)
- 75. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2019 წლის 4 ივნისის Nბს-568(გ19) განჩინება
- 76. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2009 წლის 3 ნოემბრის #ბს-13921329(გ-09) განჩინება
- 77. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 თებერვლის #3/4193-14 გადაწყვეტილება
- 78. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე #3ბ/436-16
- 79. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე #3ბ/436-16,

80. 6ECJ, Judgement of 22 February 1994, Burghartz v. Switzerland, Case No. 16213/90
81. ECJ, Judgement of 24 June 1993, Schuler-Zraggen v. Switzerland, Case No. 14518/89

ელექტრონული რესურსები

82. <<https://www.interpressnews.ge/ka/article/340147-contralegem-sakartvelossaxelit/>> [22.07.2020]
83. Trends in Parental Leave Policies since 1970, OECD - Social Policy Division, 2017,
ხელმისაწვდომია:<https://www.oecd.org/els/family/PF2_5_Trends_in_leave_entitlements_around_childbirth.pdf.>, [22.07.2020]